# ლომისი

რედაქცია:
ტფილისი, ხელოვნების სასახლე სერგიევის ქ. 13. ტელ. 17-51.
მე-5 სტამბა, საქ. ... ს. ვ. უ. პოლიგრაფიული განყოფილებისა.

სამი თვით 50 ათასი მანეთი.
განცხადების ფასი მორიგებით.

ფასი 5000 მან.

შინაარსი

პროფ. ალექსანდრე ცაგარელი—K. G.
პროფ. ა. ცაგარელი 50 წ. სამეცნ. მოღვაწ. გამო
ნახევარი საუკუნე (ს. მგალობლიშვილის მოღვაწეობა)—ვალ. გუნია.
ლექსები: ხარიტონ ვარდოშვილის, ი. მჭედლიშვილის, ირაკლი ტოფაძის, მ. უზნაძის, ს. ურუშაძის.
ქართველ მხატვართა კონფერენცია—იტე.
თეატრი. [illegible]
ოპერის კვირეული—ინენ.
ბიბლიოგრაფია, ქრონიკა.

კვირა ოქტომბრის 29, 1922 წ.

№ 9. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 9.

P. 7163

## რუსთაველის თეატრი.

სახელმწიფო აკადემიური დრამა
1922—1923 წლის სეზონი
კვირას ოქტომბრის 29-ს.
**ვინ არის დამნაშავე**
პიესა ნ. შიუკაშვილისა.
დადგმა ა. წუწუნავასი
სამშაბათს ოქტომბრის 31
**ვარამი**
ისტ. ფანტაზია შალვა დადიანის
დადგმა კ. ანდრონიკაშვილის.
დასაწყისი 8 საათზე.

---

სახალხო აკად. თეატრი ოპერა
**სეზონი 1922-1923 წ.**
დღეს კვირას ოქტომბრის 29-ს.
მეორედ
**აიდა**
სამშაბათს ოქტომბრის 31-ს
**დემონი**
დასაწყისი სრულ 8 საათზე
[illegible]

---

## ხელოვნების სასახლე

(სერგიევის ქუჩა № 13).
სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი მე-22
**ლიტერატურული ხუთშაბათი**
ნოემბრის 2-ს
**შალვა დადიანი: გახსენება ნიკო დადიანის**
საღ. 7 საათი
10 ათასი და 5 ათასი მან.

შემდეგი ხუთშაბათი:
**დიმიტრი ყიფიანის მოსაგონარი ლიტერატურული საღამო**
პროგრამმა გამოცხადდება

---

## განცხადება

**საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირს** (ცეკავშირი) **სატრანსპორტო-საექსპედიციო ნაწილს** ქ. ქ. თბილისსა და ბათომში **სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორები**, რომელნიც იღებენ როგორც სახელმწიფო და საზოგადო, აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და სავაჭრო ფირმებისაგან ყოველგვარ საქონლის გადაგზავნ-გადმოგზავნას, თავისი საშუალებით, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე საზღვარ-გარეთაც. აქვს **საკუთარი საწყობები თბილისში და ბათომში**—სადაც ღებულობს შესანახათ ყოველგვარ საქონელს

**ყავს საკუთარი გემი.**

ყოველგვარი მოლაპარაკება და ცნობათა მიღება შეიძლება დღით, კვირა უქმეებს გარდა, 9 საათიდან 3 საათამდე, ხოლო საღამოთი 5½, ს. 6½, საათამდე.

**კანტორები მოთავსებულია:**
**ქ. თბილისში**—ცეკავშირის შენობაში, (თავისუფლ. მოედ. № 4)
**ქ. ბათომში**—მიხაილოვის ქ. № 14. ცეკავშირის განყოფილებაში.

## პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

> ჩვენ თავს ვაკუთნებთ იმ მაღალ მოდგმას, ვინც სიბნელიდან ეტრფის სინათლეს.
>
> ჟან პოლ.

რაც უკანასკნელი საუკუნის ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი იყო, იგივეა ქართულ მეცნიერებაში—ალექსანდრე ცაგარელი და ივანე ჯავახიშვილი. გამოაცალეთ ეს სახელები ჩვენი დროის ანალებს და ხელში შეგრჩებათ სიცარიელე.

ბაგრატიონების კატასტროფის შემდეგ ოდნავ სულ მობრუნებული ქართული გენია ამ ორი მიმართულებით აგზავნის სულიერ ჰეროლდებს. ჩვენ მტერ მოყვარეებს წარმოედგინათ ქართველობა როგორც შარვალგანიერი, ვიწრო თავისქალიანი რასსა, რა თქმა უნდა, იმათ ვინც იგნორანტი იყო ჩვენს ისტორიაში.

მაგრამ ჩრდილოს ქარით გადაბვეწილი ქართული ინტელექტი აენთო უცხოეთში როგორც პოლარული ლამე და გაანათა შორეული პოლიუსები.

თუ რუსის სტრატეგიას პეტრე ბაგრატიონი მისცა ქართველობამ, რომელმაც შაბი გაუმართა კორსიკელ გენიოსს ქართულმა ინტელექტმა რუსის აკადემიაში წარგზავნა ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი და ივ. ჯავახიშვილი. ამ მეცნიერების მუშაობა თვით რუსეთის ფარგლებს გადაცდა და ვინ დაიჯერებდა ევროპაში მათ ქართველობას, რომ ალექსანდრე ცაგარელს და ივ. ჯავახიშვილს ტფილისში არ გადმოეტანათ თავიანთი სამეცნიერო შტაბი.

ალექსანდრე ცაგარელი ევროპიული მასშტაბის მეცნიერია, მან თავისი სიცოცხლე და [illegible] ჩრდილოეთში გაატარა—მას ჰქონდა ყველაფერი: სახელი და ხარისხი, სტანისლავის ორდენი, პატივი და დიდება, დიდი გასაქანი, დიდი შესაძლებლობა, რომელსაც უცხოეთის აკადემია აძლევდა მას, მაგრამ იგი მუდამ ფიქრობდა თავის პატარა იტაკაზე, თავის პატარა საქართველოზე. საქმე ის კი არაა პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე ის არის დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს.

ბევრისთვის დღემდის პრობლემაა რომ მეცნიერებასაც ეროვნული მერიდიანები აქვს ისე, როგორც ხელოვნებას.

პროფ. ცაგარელი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ჩვენმა ეპოქამ თვით მეცნიერებასაც ნაციონალური იერი არ მოაკლო. ალ. ცაგარელის მოწაფეებმა სული ჩაუდგეს საქართველოს უსულოს. მათ ტფილის დაუბრუნეს ის იერი და დიდება რომელიც მას ჰქონდა დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს. ტფილისი მუდამ საქართველოს თავი იყო, მაგრამ 1918 წლიდან ხდება ტფილისი ინტელექტიანი თავი საქართველოსი. ამ ფაქტს ვერ შეედრება ვერც ერთი პოლიტიკური რეფორმა, ვერც ერთი პოლიტიკური ნაბიჯი ჩვენი უახლესი ისტორიისა. „განათლებული ფილისტერები" ამტკიცებენ: მეცნიერება უნივერსალურია, მაგრამ ამას იმ შემთხვევაში „ამტკიცებენ" როცა ისინი თავიანთი ეროვნული ყოფის ნიადაგიდან ამოვარდნილი არიან.

არც ერთი დიდი მეცნიერი დღეს ამ უნივერსალობაზე არ მსჯელობს. არც ალექსანდრე ცაგარელი დაფიქრებულა როცა ტფილისის უნივერსიტეტის კარები გაიხსნა, და ქვეყანა მოვლილმა ბრძენმა ოდისეამ მოაშურა თავის იტაკას, თავის საქართველოს.

ეპოქალურია მისი მეცნიერული დამსახურება არა მარტო საქართველოს არამედ უნივერსალურის მასშტაბით, მაგრამ დღეს ეს განლტოლვა მისი ჩრდილოეთიდან, ყველაზე უფრო დასაფასებელია ჩვენთვის, და საქართველო მისი 50 წლის იუბილეს დღეს აკოცებს მას, მაღალ ნაოჭებიანს შუბლს,—პატარა და ღარიბი დედა,—თავის დიდსა და მდიდარ შვილს, რომელმაც მთელი თავისი ინტელექტუალური სიმდიდრე საქართველოს შესწირა.

არასოდეს დიდ კაცების სიახლოვე ისე არ სჭირებია საქართველოს როგორც დღეს.

K. G.

პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი

50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო

## პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი *)

ალექსანდრე ცაგარელი დაიბადა 1844 წ. ნოემბრის 27-ს ტფილისში. საშუალო განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიასა და კლასიკურ გიმნაზიაში. უმაღლესი სწავლა პეტერბურგის, ვენის, მიუნხენის და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში. სწავლობდა აღმოსავლეთის ენებს. მისი პროფესორები იყვნენ: რ. როტ. გისბრეხტ; სრეზნევსკი, მერქს, ფრიდრიხ მიულლერ ზახაუ. 1871 წ. პეტერბურგში პრივატ დოცენტი ცაგარელი იწყებს ლექციების კითხვას. 1880 წ. მიიღებს ქართული ენის დოქტორის ხარისხს. 1891 წ. იღებს ორდინალურ პროფესორის ხარისხს ამავე წელს მიემგზავრება ევროპაში. სამეცნიერო მიზნებისათვის მოიელის ავსტრიას, იტალიას, საფრანგეთს, ინგლისს, ისპანიას. 1883 წ. არქეოლოგიურ კვლევისთვის 8 თვის განმავლობაში მგზავრობს ოსმალეთში. ინახულებს ათონს, პალესტინას, ეგვიპტეს, სინაის. წლების განმავლობაში წევრი იყო არქეოლოგიურ, ისტორიულ და ორიენტალურ საზოგადოებებისა მოსკოვსა და პეტერბურგში. მონაწილეობას იღებს არქეოლოგიურ კონგრესებში.

1893 წ. მიიღებს პირველი კლასის სტანისლავის ორდენს.

მთავარი ნაშრომები: 1) შედარებითი მიმოხილვა იბერიულ ენათა ჯგუფების მორფოლოგიისა 2) ქართული ენის შესაძლო ნათესაობა ევროპიულ და ტურანულ ენებთანა (ჟურნალი რუსეთის განათლების სამინისტროსი პეტ. 1872 წ. სექტ.).

3) გრამატ. ლიტ. ქართულ ენაში. პეტ. 1873 წ.

4) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ქართული ზღაპრები მე-XVII—მე XVIII საუკ. იგივე ფრანგულად: Contes georgiens d'apres le texte de M. Tsagarelli. par I. Mourier. Tiflis. 188[illegible]

5) მეგრული ეტიუდები. იგივე ფრანგულად პარიზში 1892 წ. Contes Mingreliens d'aprés le dexte de M. Tsagarelli.

6) ცდა მეგრული ენის ფონეტიკისა. 1888 წ.

7) ერთი ქართული წარწერა იერუსალიმში.

8) ცნობები ქართული ლიტერატურის ძეგლებზე.

9) ქართულ სიძველეთა მეცნიერების ძეგლები ქართული ხელთნაწერებით პეტ. 1888 წ. იგივე გერმანულად ჟურნალში: Zeitschrift d. deudsch—Palestina Verein. იგივე ინგლისურად ოქსფორდში. 1894 წ.

10) რუსეთისა და საქართველოს მეფეების მიწერ-მოწერა. 1894 წ. პეტ.

11) მასალები და ისტ. დოკუმენტები.

---

*) ეს ცნობები ამოღებულია გერმანულ ბიოგრაფიების კრებულიდან „Geistige Welt" Galerie d. zeitgenossen auf dem gebiete d. Künsle u. Wissenschaften, Berlin. აქვეა ბიოგრაფიები: რიჰარდ ვაგნერის, ვირხოვის, გრაფ ცეპელინის, კარმენ სილვასი პაულ მანტეგაცასი, ჰენრიკ იბსენის, პაულ ჰაიზესი. ანატოლ ფრანსის, გაბრიელ დ'ანუნციოსი. მარტო ამ ფაქტიდან ჩანს თუ როგორის კრძალვით და პატივით ექცევა განათლებული ევროპა ჩვენს მეცნიერს პროფესორს ალ. ცაგარელს.

# ნახევარი საუკუნე

### სოფრომ მგალობლიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემს გულსა და გონებას ისე არაფერი სწყენს და აღშფოთებს, როგორც უსამართლობა.

უსამართლობა შეგნებული თუ შეუმცნობელი, უსამართლობა წარმოშობილი თუნდაც გულმავიწყობით, უნდა გასწორდეს. ამას მოითხოვს კულტურული ადამიანის სინიდისი.

ჩვენ მწერლები და ხელოვანნი უსამართლოდ მოვექეცით სოფრომ მგალობლიშვილს.

ნახევარი საუკუნის ღვაწლი და ამაგი არ უნდა იქნეს დავიწყებული.

წელს შესრულდა სრული ორმოცდაათი წელიწადი, რაც ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

—

სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი დაიბადა 1851 წელს სოფ. დირბში (გორის მაზრა) შუათანა შეძლების ოჯახში. მამა მისი ზაქარია სე[illegible] კურს დამთავრებული იყო. მასწავლებლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გამწესებულა [illegible] —მისიონერად ჩრდილო-ოს[illegible] [illegible] წლამდე სოფრომი ოსეთში [illegible] და და მამა მისი, რომ კვლავ [illegible] ამწესეს თავის სოფელ დირბში, სოფრომს ქართული ენაც კი დავიწ[illegible]. ზაქარია მღვდელი მეტად [illegible] და სასტიკი ხასიათის კაცი [illegible]. სამაგიეროდ დედა სოფრომისა [illegible]მი (მღვდელი ბიბილაურის [illegible]) ლმობიერი და მშვიდობის მოყვარ[illegible]ლი იყო. ცხრა წლის სოფრომი [illegible] გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს. 1862 წელს სოფრომს მამა გარდაეცვლება. მისი ოჯახი გაჭირვებაში ჩავარდება, მაგრამ სოფრომს და მის უფროს ძმას მზრუნველობას [illegible] წევს პაპა სვიმონ მღვდელი. [illegible]ტი წლის სოფრომმა სასულიერო სასწავლებელი გაათავა და იგი [illegible] დაბრკოლებით პაპამ ტფილისის სემინარიაში მიაბარა სახელმწიფო ხარჯზე. ეს ის დრო იყო, როცა განსვენებული იაკობ გოგებაშვილი სასწავლებლის [illegible] დამხედველად იყო, ხოლო მასწავლებლად იყვნენ ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი, თომა ტურიაშვილი და სხვები. ამ მასწავლებლებს დიდი გავლენა ჰქონდათ შეგირდებზე. სემინარიის დახშულ კედლებში ახალი სიო დატრიალდა, შეგირდები თავისუფლად კითხულობდენ ჟურნალ გაზეთებს. მოსწავლეთა ეროვნულ შეგნებას ხელი შეუწყო ახლად ჩამოსულმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც თავის გამოცემაში „კრებულში" თავი შეუყარა მაშინდელ ჩვენს მწერლებს.

მაშინდელ ჩვენს მწერლობას ორი მიმართულება ჰქონდა: ერთი იყო კონსერვატორული „მნათობის" გარშემო, მეორე პროგრესიული „დროება—კრებულის" ჯგუფი. სემინარიაშიაც დაიყო შეგირდობა ორ ჯგუფად, მაგრამ ისინი შეერთდნენ და გამოსცეს თავიანთ ხელთნაწერი ჟურნალი „შრომა", რომლის გარშემო შეიკრიბნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომაური, სოსიკო ბაქრაძე, იონა მეუნარგია, გიორგი უიურგაული, შიო შიუკაშვილი, მიხ. სანებლიძე და სხვ. „შრომის" ხელმძღვანელად იყო ჩვენი ბელეტრისტი სოფრომი. 1872 წელს ამავე ჟურნალში [illegible]ჭდა სოფრომის მოთხრობა „რა [illegible]რია", რომელსაც ყურადღება მია[illegible] გიორ. იოსელიანმა; მასწავლე[illegible] ურჩია ნიჭიერ მოწაფეს მოთხრობის დამუშავება. მართლაც სოფრომ[illegible] გადაამუშავა თავის ნაწერი და [illegible] ორი მოთხრობა დასწერა: „დედა [illegible]" და „ღამის მეხრე ცეცო"

[illegible]ლი ოფიციალური სამწერლო თარიღი ჩვენი ბელეტრისტისა არის 1872 წელიწადის მარტი. „დროება" [illegible] 11 მოთავსებულია „ძველთახალი ამ[illegible]" ს. ზაქარიაძის ფსევდონიმით. [illegible] წელს ჟურნალ „მნათობში" და[illegible] მისი თარგმანი „როსსელის [illegible]", კომუნისტ როსსელის თავ[illegible]ალი ციხეში და მისი დასჯა. ამ[illegible] წელს 1922 წელს სოფრომ მგა[illegible]ლიშვილს შეუსრულდა ორმოცდაათი წელიწადი, რაც იმან პირველად [illegible] შესდგა ქართულ მწერლობაში.

1872 წლის დამლევს და 1873 წლის [illegible]ში სემინარიაში გაძლიერდა [illegible], რომლის სულის ჩამდგმელი [illegible]ბილი ივანე ქუთშინსკი, სემინარიის ინსპექტორი სემინარიიდან იძუ[illegible] გავიდნენ გიორ. იოსელიანი, ნიკო ცხვედაძე და თომ[illegible]. სემინარია სოფრომმა [illegible] ველისში, მაგრამ ა[illegible] ქცევის ნიშნად 4 და[illegible], რამაც რა თქმა უნდა [illegible] ძრიელ გაუძნელა სო[illegible]რის შოვნა.

სოფრომ გაემგზავრება გორში [illegible] თავს ირჩენს კერძო [illegible]. გორში სოფრომი გაეცნობა [illegible] დებულ „ნაროდნიკებს" [illegible] ევნატე იოსელიანს, ვასო [illegible]შვილს, ქაიხოსრო ფურ[illegible] ფავლენიშვილს და სხვებს. [illegible] ჩაება არალეგალურ მუშაობ[illegible] სთარგმნის აკრძალულ [illegible] და ხელნაწერებს ავრცელებ[illegible]. ასე იყო 1875 წლამდე, [illegible]რუნდება ოფიციალურ მწერ[illegible] თანამშრომლობს „დროებაში" 1876 წელს სოფრომს ჟანდარმებმა [illegible] შემდეგ თავი ციხეში ამოაყოფინეს. 1877 წელს დაიწყო მუშაობა [illegible]კვირეულ „ივერიაში", სადაც [illegible] „წაკელას" ფსევდონიმით. [illegible] მძიმე დრო იყო მაშინ მწერლ[illegible]. შეტადრე მხილებული მწერლის ყოვ[illegible]ცემა და სიკვდილით მუქარა [illegible] ლებრივი თავგადასავალი იყო. [illegible] ფსევდონიმით [illegible] ბული იყო.

ოთხმოციან წლებში იბეჭდება სოფრომის მოთხრობები „დუქნის წინ", „[illegible]როსთან", „დედა მაია", „ღამის მეხრე ცეცო", „ღამის გუშაგი", „[illegible]როში", „მეხართან", „მოლოდინის შემდეგ", „ყაყიტოს ქორწი[illegible]", „[illegible]ბის ჩივილი", „დიდ ზალაში", „[illegible] სულის ძალი", „დემეტრეს სი[illegible]" და სხვა მრავალი.

სოფრომი მუშაობდა „დროებაში", „[illegible]რიაში", „ნობათში", „ჯეჯილში", „[illegible]დულში", „კვალში". რევოლ. [illegible] დროს სოფრომმა დასწერა მ[illegible] მოთხრობა „წითელი სარჩული", [illegible]მელშიაც ცხოვლად დასურათხ[illegible] თფილ. სემინარ. პერსონალები [illegible] განდგომილი ქართველი, „გმირი". [illegible] თხრობამ თავის დროზე დიდი [illegible] მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზ[illegible]ბაში. „მზე-ფასკუნჯში" დაიბეჭდა სოფრომის მოთხრობა სამღვდელ[illegible] ცხოვრებიდან „ორი მეგობრის [illegible]რია", მისივე კალამს ეკუთვნის [illegible]რობა „წარსულიდან", რომელ[illegible] ამბეში, იყო დასტამბული.

ს. მგალობლიშვილს როგორც ჩვენი ცხოვრების დიდი ხნის მეთვალყურეს ბევრი მოგონებანი აქვს დაბეჭდილი სხვადასხვა გამოცემებში—„თემში", „ერში", „სინათლეში", „სავაჭრო გაზეთში", „განათლებაში", „ახალ დროებაში" და სხვა მრავალ პერიოდულ გამოცემებში. სოფრომი სწერდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს. ფელეტონებს, ეტნოგრაფიულსა და სხვადასხვა ხასიათის წერილებს... 1782 წლიდან დღევანდლამდე სოფრომის მადლიანი კალამი არ შეჩერებულა.

ლიტერატურაზე არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის სოფრომს საზოგადოებრივ ასპარეზზე. სოფრომის მეთაურობით გორსა და მის პროვინციებში დაარსდა თეატრი და სცენები. 1873 წ. 1893 წლამდე, სანამ იგი ფოთში გაემწესებოდა სამსახურში, მთელი ოცი წლის განმავლობაში სოფრომი სუფლიორიც იყო და სცენარიუსიც, მსახიობიც და რეჟისორიც. შეუდარებელი მკითხველია სოფრომი გლეხური სცენებისა, რომელიც მრავალი აქვს დაწერილი. იშვიათია სოფელი ან ქალაქი სადაც სოფრომს არ გაემართოს წარმოდგენები და თავისი გლეხური ყვენები არ ეკითხოს მახ[illegible] ნიკო ლომაურის ხოტბა წერილი [illegible]" სოფრომის მიერ სცენების კითხვის შესახებ.

აღსანიშნავია სოფრომის ღვაწლი გორის სასულიერო სასწავლებელში, სა[illegible] მან ქართული ენის სწავლება უმაღლეს ხარისხზე დააყენა. სოფრომის გავლენით აღიზარდნენ გორში დავით კარიჭაშვილი, ია ეკალაძე, საშა ყიფშიძე (ფრონელი) შიო ჩიტაძე, ალ. სო[illegible]ლოშვილი და სხვა. ია ეკალაძემ თავის ნაწერების პირველი წიგნი „ძვირფას მასწავლებელს" სოფრომს უძღვნა.

სოფრომ მგალობლიშვილი ეხლაც [illegible] სწერს ყველა ჟურნალ გაზეთებში და სამწუხაროა, რომ დღემდე მისი ნაწერები ერთად არ არის და გაბნეული ძველსა თუ ახალ გამოცემებში, მაგრამ უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ სოფრომის ნაწერებს დღემდე კრიტიკის ქარცეცხლში არ გაუვლია. ერთადერთი კრიტიკული განხილვა მისი ნაწერებისა ეკუთვნის იპოლიტე ვართაგავას, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ ს. მგალობლიშვილმა გაამდიდრა ქართული ენა მრავალის ხალხურის სიტყვებით. და მართლაც სოფრომის ენა მეტისმეტად მარტივია, სადა და მხატვრული და ხალხურის ელფერით გაელენთილი. ამ მხრივ მისი ენა ძრიელ ირჩევა სხვა ჩვენს მწერალთა ენისა და სტილისაგან.

სოფრომ მგალობლიშვილი ამ ჟამად ღრმად მოხუცებულია: სამოცდათორმეტის წლისაა. არავითარი ქონება უძრავი თუ მოძრავი მას არ მოეპოვება. ირიცხება სახელმწიფოს პენსიონერად მეორე კატეგორიაში. აი ეს არის სოფრომის ავლადიდება, იგი ყოველდღიური შრომით არჩენს თავს და მოხუცებულ ცოლს. ერთი მისი ვაჟი დათიკო ნიჭიერი არტისტია, მოსკოვის ოპერეტაში მუშაობს, მეორე უმცროსი შოთა ნაოფიცრალია და კერძო სამსახურზეა. ჩვენ დარწმუნებული ვართ სოფრომ მგალობლიშვილის ორმოცდაათი წლის ღვაწლს და ამაგს ჩვეულებრივის ყურადღებით დააფასებს მწერალთა კავშირი და თუ ვისმე ერგება იუბილე და ესაჭიროება სიბერესა და მოხუცებაში უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა სოფრომ მგალობლიშვილს.

ვალ. გუნია.

# ქართველ მხატვართა კონფერენცია

კვირას ოქტომბრის 22 გაიხსნა დიდების ტაძარში ქართველ მხატვართა კონფერენცია, სადაც დასმულია მრავალი საჭირბოროტო საკითხები. კონფერენციის მუშაობა კომისიების სახით ყოველივე საკითხების გასაშუქებლათ გრძელდება მთელი კვირის განმავლობაში.

ქართველ მხატვართა საზოგადოება მეშვიდე წელია რაც არსებობს და შრომობს. მან კიდე 1918 წელში დიდების ტაძარში თავის გრანდიოზულ გამოფენაზე მიიღო სიმწიფის მოწმობა. მათ ამ ხნის განმავლობაში მოაწყვეს მრავალი შესანიშნავი გამოფენები, მოაწყვეს ექსპედიციები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში კულტურული ნაშთების შესასწავლათ და შესაგროვებლათ. მათი ინიციატივით გაგზავნეს ს. მი ნიჭიერი ახალგაზდა მხატვარი ევროპაში, რომელთა ნიჭზე იქაურ პრესაშიც იწერება ქება.

მხატვართა საზოგადოება დღიდან თავის დაარსებისა იბრძოდა საქართველოში მხატვრული ხელოვნების ასა[illegible]ვებლათ, რათა დაარსებია სამხატ[illegible] შკოლები, შექმნა სამხატვრო აკ[illegible]მია, ხელი შეეწყო ახალგაზრდა [illegible] ჭიერ მხატვრებისათვის. დაეარს[illegible] სამხატვრო გალერეიები და სხვა.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ამ სა[illegible]ხებს ჩვენში მეხუთე და მეათე [illegible]რისხოვან საკითხათ თვლიდენ და [illegible]ველთვის უკანა რიგში სტოვებდენ, ამიტომაც ვერ დგას დღემდე ჩვენ[illegible] მხატვრობის საქმე სათანადო სი[illegible]ლეზე.

მართალია, წელს დაარსდა სამხატ[illegible] აკადემია, რაც დიდი ხნის ოცნება [illegible] ქართველი მხატვრების, რისთვისაც [illegible] რად იბრძოდენ ისინი, მაგრამ აკად[illegible] ჯერ მეტათ სუსტ ფეხზე დგას. არამც თუ მეცადინობის მხრით [illegible] სრულყოფილი, არამედ შესაფერ[illegible] შენობაც ვერ უპოვიათ მისთვის [illegible] მხატვრებს გატიალებულ ფარეხში [illegible]თებათ მეცადინობა.

მხატვართა კონფერენციაზე ბევრი ჭირბოროტო და თავსამტვრევი საკითხებია წამოჭრილი, რომელიც თხოულობს სათანადო გაშუქებას და გადაჭრას, როგორც მაგალითად: ბეჭდვა [illegible] გავრცელება ხალხში ქართული ძველი მხატვრობის და ახალისაც, პერიოდული სამხატვრო ჟურნალების გამოცემა, [illegible] კუთარი ლიტოგრაფიის და [illegible]ფიის მოწყობა და ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან სურათების ბეჭდვა და გავრცელება. სურათების გამოფენების მოწყობა როგორც ცენტრში, აგრეთვე პროვინციებში, ნიჭიერ და ღარიბ მხატვრების ხელის შეწყობა და მხატვრული დახმარება თეატრებსა და შკოლებს და სხვა.

მაგრამ როგორც ყოველთვის ამ [illegible] საკითხებს აბრკოლებს თანხის უქონლობა, ამიტომ მხატვართა კავშირმა უნდა მიმართოს ძველ ნაცად გზებს, მან უნდა შემოიღოს საწევრო გადასახადი. თავის საქმეების მოსაგვარებლად უნდა გამოითხოვოს მთავრობიდან თანხა და აგრეთვე დახმარებისათვის უნდა მიმართოს ჩვენ კულტურულ საზოგადოებებს, რათა ხელი შეუწყონ მხატვრობის აღორძინებას საქართველოში.

ოტე

# ახალი დრამა

[illegible]

[illegible] სიღიარის ხელოვნებით გამო[illegible]ხული. თავიცა აქვს, ბოლოცა, თევზის ფაფარი, ბრჭყალებიც, მაგრამ სად იწყება და სად თავდება ვერ მიხვდებით. ფანტასტიური ქმნილებაა ჩინური უსაზღვრო ფანტაზიისა. ადამიანის ფანტაზია უფრო უცნაურს ვერას მოიგონებს, მაგრამ აქაც კი ყოველივე ნაკვთი რეალობაა, არსებულია, ყოველივე ეს ნანახი აქვს სინამდვილეში გაგიჟებული ფანტაზიის მხატვარს.

მაგრამ სინამდვილეში არსებობს ან არსებობდა ასეთი საშინელი ქმნილება?! რასაკვირველია არა. ყოველ შემთხვევაში არც მხატვარს უნახავს იგი. მან მხოლოდ შეაკოწიწა, შეაერთა სინამდვილეში არსებული კუდი, ფრთები, თავი, ფაფარი სხვადასხვა ცხოველთა და ასეთი ფანტასტიური ცხოველი კი გამოხატა.

შეუძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს ისეთი განცდა ან ტანჯვისა და ან ნეტარებისა, რომელიც ადამიანის გარეშე იყოს, ადამიანს არ განეცადოს.—აი კიდევ უცნაური ნახატი უცნაური მხატვარისა:

პორტრეტი: მართლადაც თითქოს ადამიანის არსებაა, მაგრამ ცხვირი ცალკეა, თვალები ცალცალკე, ფეხი თავთანაა, ერთ ადგილს მხოლოდ რამოდენიმე თითი მოსჩანს ხელისა და ამრიგად...

პორტრეტი?! ვითომ ჩვენი განცვიფრება უნდოდა მხატვარს,—დახედეთ, რა ფანტაზია მაქვსო. მაგრამ აქ მხოლოდ ხერხია: იქ ჩინელმა მექოთნემ შეაერთა, აქ კი მხატვარმა დაანაწილა.

რა დარგიც გნებავთ, რა ფორმაც, რა გრძნობაც გინდათ „გამოგონება" არაფრისა შეიძლება, შეიძლება მხოლოდ მიბაძვა, დაშლა და ან გაერთიანება.

მხატვრობის შემდეგ ადამიანის ფანტაზია იჩენს უკიდურეს ფანტასტიურობას დრამატიულ ხელოვნებაში. შეიძლება იმიტომ რომ ეს დარგი ხელოვნებისა აერთებს ყველა სხვა დარგს: სიტყვას, მუსიკას, მხატვრობას, ქანდაკებას და სხვ.

რა ფორმას, რა სახეს და შინაარსს მიიღებს მომავალი დრამა? შეიძლება მხოლოდ მარტო გიჟმა არ იცოდეს, რომ ყველაფერში, ყოველთვის და ყოველგან „აწმყო შობილი წარსულისა-

[illegible] მომავლისა. წარსული [illegible] ებულის წარმოშობას და განვითარებას, წარსულს და აწმყოს, იგი შესძლებს მისი მომავლის განსჭვრეტასაც.

დიდად საინტერესოა ისტორია დრამატიული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარებისა, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებთ იმ მიმდინარეობათ, რომელთაც ეპოქები შეუქმნიათ დრამის ისტორიაში. საღვთო როკვა, ლოცვა-ვედრებანი, საომარი ვარჯიშობანი ველურისა, ზარი და გლოვა,—აი ნიადაგი რომელზედაც აღმოცენდა და თანდათან განვითარდა დრამა და სცენა.

დრამა ასეთ სტიქიურ, ასე ვსთქვათ, შეუგნებელ შემოქმედების ხანიდან მხოლოდ ძველს ელადაში განვითარდა, როგორც დრამა.

სოფოკლეს, ესხილ, ევრიპიდ, არისტოფანი არიან მამამთავარნი დრამისა. მათ შექმნეს ეს დარგი ხელოვნებისა და თვით სცენა სახიობით.

ძველი ბერძნული დრამატიული კონფლიქტისთვის შეუძლებელი იყო კერძო, პირადი, ოჯახური ხასიათის სიხარული თუ მწუხარება ეღლო მასალად. ვინაიდან თვით საზოგადოება იყო ის ოჯახი, რომლის კანონებისა და მორალის დარღვევა ჰქმნიდა იმ დიდს კონფლიქტს-სენსაციას, აურზაურს, რომელიც ყველას აღელვებდა, ყველას შეეხებოდა. მოირა (ბედისწერა) თანასდევს ყოველს ადამიანს და გადასვლა მისი შეუძლებელია. ერთხელ დაწესებული ხნა, ჩვეულება, კანონი უცვლელია და გარდუვალი. იგი განმტკიცებულია ღმერთების ძლიერებით და წინაპართა [illegible] ხსოვნით. ვინც კანონს გასტეხს, გადავა, იგი უეჭველად დაისჯება.

აი, ის ორიოდე ბურჯი რომელზედაც აშენებული იყო ძველი ელადის ყოფა-ცხოვრება და მორალი.

ოიდიპოსს ბედზე ეწერა, რომ იგი მამას მოკლავდა და დედას ცოლად შეირთავდა. რამდენი ეცადენ ადამიანნი, ეს საშინელი ბედი აეცილებინათ. მაგრამ მოირას, ბედის გადაქმნა, გარდასვლა შეუძლებელია. ოიდიპოს მოჰკლავს მამას, შეირთავს დედას, რომლისაგანაც შვილებიც კი მიეცემა. როდესაც იგი ამას გაიგებს, თვალებს დაითხრის და

თავის ქალის ხელზე დაყ[illegible]

[illegible]

დამნაშავე ძმას ანტი[illegible] საჯოს.

კონფლიქტი წინააღმდეგობა [illegible] კანონისა და ცხოვრებისა [illegible]ლი ტრაგედიის შინაარსი, [illegible] ცხოვრების შინაარსიც [illegible]რსი აღებულია თანამ[illegible]ბიდან, თანამედროვე [illegible]ნებიდან.

სად მოხდება ეს „დრამა"? შინ, ოთახში, ჭერქვეშ, ოჯახში? არა, ასეთი ტრაგედია ოთახში არ მოთავსდება. ეს ბრძოლა, ეს უცნაური მოვლენები ყველას, საზოგადოების თვალწინ ხდება. მსხვერპლი ან გმირი ამ შემთხვევებისა გამოდიან გარეთ, აგორაზე, ქუჩაში, ეკლესიის პორტალებზე და იქ ღაღადებენ, იქ მოსთქვამენ მოთქმითა დიდით. მათ ეხმარება ქორა. მეზობლები, [illegible]დანი, მთელი თემი და ამგვარად დრამაში ყველა იღებს მონაწილეობას. ამიტომაცაა ანტიურს დრამას ახასიათებს აუარებელი მომქმედი პირი და მასსა. მთავარი მომქმედი უფრო მეტწილად მასსაა და არა პიროვნება,—მოქალაქენი და არა ცოლ-ქმარი, დედ-მამა შეყვარებულნი. ანტიური დრამის მთავარი მომქმედი ხოროა.

ჩვენ აქ არ გვაინტერესებს ქრონოლოგიური სინამდვილე და ყოველი [illegible]ლება სცენისა და დრამისა, შინაარსისა და ფორმისა. ჩვენ მხოლოდ მთავარ მომენტებს აღვნიშნავთ.

გადავიდეთ ახლა შექსპირის დრამაზე. საშუალო საუკუნოებში ყურადღება და ინტერესის ღირსი ხდება სასახლე? მეფის, მთავრის და დიდებულთა. „ხელმწიფე—ეს მე ვარ"—ამბობ[illegible] დრომში. ისტორიას ქმნიან „შერჩეულნი პიროვნებანი", „რჩეულნი" მეფენი, სარდალნი, გმირნი.

ხელოვნება მეფის კარზე იზრდება. თუ ხელოვნება ისეთი სარკეა, რომელიც იმის სახეს გვიჩვენებს, რაც მის წინ ჩაუხედნია, რას გვიჩვენებდა დრომინდელი მწერლობა? რასაკვირველია რაინდთა, მეფეთა, დიდებულთა განცდებს, ნეტარებას და მწუხარებას. დრამაც, მართლადაც ეს ნამდვილი სარკე ცხოვრებისა, გვიჩვენებს როგორ იტანჯება მეფე ლირი, დანიის უფლისწული ჰამლეტი, უებრო სარდალი ოტელო, ან მაკბეტი; როგორ სტანჯავს

[illegible]ტანჯება რიჩარდ, ან კორიოლა[illegible]

[illegible]

[illegible] გარეთ აღარ მოიწევს. არც ბრძოლის, ხალხს, მასსას, მოედანს, ქუჩას არავინ მოუწოდებს. არ სთხო[illegible]ენ მათ არც შველას და არც თანაგრძნობას. ცხოვრება იქ დუღს, ქვეყნის ბედ-იღბალი იქ სწყდება სასახლეში, დარბაზებში.

მეორე მხრით დრამის კოლიზია, კონფლიქტი რაღაც განყენებულ იდეებზე კი არ ხდება:—ჰამლეტი უნაზესი შვილია, ლირი უბედური მამა, ოტელო სიყვარულით დამთვრალი და ეჭვით დაღრღნილი ქმარია, რიჩარდ მესამე მტარვალია და ასე... აქ ცხოვრების სინამდვილის ხლართებია და არა რაღაც მოირა, ბრმა ბედი.

მაშასადამე, შეიცვალენ პერსონაჟები, მომქმედნი პირნი, საზოგადოებრივი წესწყობილება. შეიცვალა სამოქმედო ასპარეზი და... შეიცვალა დრამის შინაარსი და სცენაც.

გავიდა ხანი და რაინდობამაც თავისი დრო მოსჭამა. ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან უკვე უფრო დინჯნი, ხუმნი, მშვიდობიანნი მოქალაქენი. მეტი ანგარიშიანობა დაიწყეს: უკვე ისე თავალებით აღარ ებრძვიან [illegible], გველეშაპებს, ქაჯებს და ყოველს გამვლელს გამომვლელს თავის გულის საყვარლისთვის.

[illegible] ლოყებიანი მოქალაქე, რომელსაც არა სწამს ვითომ „სჯობდეს სახელისა მოხვეჭა ყოველსა [illegible]ელს" და მყუდრო ოჯახური ცხოვრება უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნია. [illegible] რასინი, მოლიერი და სხვანი საიდან გადმოწერდნენ ახლა თავიანთ დრამებს? რა თქმა უნდა, იმ ეპოქის დამახასიათებელ ყოფა-ცხოვრებიდან და ჩნდება „ყოფა ცხოვრების" დრამა.

აქ უფრო შეიკუმშა ცხოვრების ასპარეზი. აქ არა თუ მოედანი—აგორა არ არის, აქ უზარმაზარი დარბაზიც არ არის სასახლე-კოშკებისა. აქ არა თუ მთელი ერი, თემი არ იღებს მოქმედებაში მონაწილეობას, აქ არც სასახლის კარზე თავმოყრილი შინა-ყმანი და ნაზირ ვეზირნი არიან.

და დრამა პატარა ბინის პატარა ოთახებში სწარმოებს მყუდრო ოჯახურს წრეში: ქმარი, ცოლი, ორი სამი შვილი, მამიდა ან დეიდა, და ერთიც უცხო ან ქალი ან კაცი, რომელსაც შე[illegible] დრამა ოჯახში...

[illegible]

[illegible] ალტყინებისა, ნოკ[illegible]ვა-ელეტისა, სისხლის ღვრისა. მოკვდებიან მილიონები... ირყევა მთელი სამყარო. დაწყდა ჩვენი ნერვები, ხოლო რომელიც კი შეგვრჩა, იმდენად დამსხვილდა და დახლუნდა, რომ გახურებული შანთის მიკარებასაც აიტანს. „ვისაც მაგარი ნერვები აქვს, ის გაიმარჯვებსო" აი, თანამედროვე ეპოქის ფსიხოლოგია. ადამიანი! რა არის ადამიანი? უბრალო მღილია, ტალახი,—გასრისე და გადაიარე. ადამიანის ვარამი და ტანჯვა! რა ულოვო და უნიადაგო გულჩვილობა და ქალაჩუნობაა!

სიმფონიებიც კი დღეს მოსაწყენია! ზარბაზნისა და ტყვიისმფრქვეველთა გრიალი: დაფდაფთა ტკრციალი, ბრძოლის ყიჟინა, ან მანქანათა შხუილი და მიმოქროლვა—აი თანამედროვე მუსიკა! აი სიცოცხლე.

სიყვარული! სიბრალული! სათნოება!—ეს ფილისტერთა დრომოჭმული მორალია.

ოჯახი! რა მეშჩანობაა! სად არის ნაზი გრძნობა დედისა, ვის ესმის ქორვა. ჩვილის ტიტინი! სა[illegible] დაინავარდოს, დემონი [illegible] და ზეიმობს.

[illegible] ადამიანი და მისი [illegible] ქუჩა წითელი, მოედანი წითელი, წითელი სისხლით მოლიპული, აი დღევანდელი ადამიანის ასპარეზი.

დღის სიკაბადე! ეს წვრილმანია,—[illegible] წითელი ოცნება, მირაჟები და მიდევნება ამ მირაჟებისა! აი ეს არის დღევანდელი სიცოცხლის აზრი. და ბოლომდის მუდამ ასე...

ცხადია ყოველივე ეს სცენაზე არ დაეტევა. ცხოვრებამ გაარღვია კედლები და გარეთ ქუჩაში გამოიჭრა. მსოფლიო ტრაგედიაა აქ სწარმოებს, ცის ქვეშ.

მაშასადამე სცენაც უნდა გაფართოვდეს, თეატრის შენობები უნდა დაინგრეს და აშენდეს ახალი კოლოსალური კოლიზეი, რომელშიაც გადაიშლება არა პიროვნებათა, არამედ ხალხის, მასსის, ბრბოს ტრაგედია.

დღეს „მარტოხელი" კი არ განიცდის თავის ტრაგედიას, არამედ ლეგიონი მილიონები.

[illegible]

[illegible]ბუნებრიობა იყო გუშინდელი დრამის ძარღვი: ილაპარაკე ისევე ხმით, რა ხმითაც ცხოვრებაში ლაპარაკობ. ასეთი იყო მოთხოვნილება სასცენო ხელოვნებისა.

დღეს კი ეს შეუძლებელია... უკაცრავად, დღესაც ამასვე მოვსთხოვთ დრამატურგს არტისტს, სცენას, მაგრამ ხომ დავინახეთ როგორია დღევანდელი „ბუნებრიობა".

მეოცე საუკუნეში არ ლაპარაკობენ—ყვირიან, ჰკივიან, [illegible] ტრიბუნნი. დღეს კი არ იცინიან—ხარხარებენ, დღეს კი არ სტირიან—ჰგოდებენ, მოსთქვამენ.

დღევანდელი თეატრი საშინელი დისონანსია ცხოვრებასთან. დღევანდელ მოქალაქეს როგორ შეუძლია სამ-ოთხი საათი ერთს ადგილს დაჯდეს და უსმინოს იადონის ჭყვენას, ტირიფის ფოთლების შრიალს, ანკარა წყაროს ლიკლიკს!

ლირიკა! ელეგია! ლექსი! გრძნობა! ეს დღეს ჩვენს ნერვებს ვერ შეარხევს, ჩვენს სმენას არ ჩასწვდება. რა საჭიროა შინაარსი. დღეს ყველამ ყველაფერი იცის. დღეს სხვა რამეა საჭირო, ახალი და აი, დრამაც ასეთივე უნდა იყოს.

[illegible] ფსიხოლოგია, პიროვნების განცდა და ტრაგედია კი არა ხალხის, ერის განცდა და ტრაგედია,—აი მასალა ახალი დრამისა.

დღეს ვის სცალია ვარდისფერ სიყვარულისთვის! არის მხოლოდ შემთხვევითი, გზა და გზა შეხვედრილი [illegible] აფეთქება ვნებიანი დინამიტით.

დღეს ვინ ეტევა ოჯახში, თავის წრეში, საზოგადოებაში, თავის ერის, თავის სახელმწიფოს ფარგლებში! დღეს ყველაფერი ბუმბერაზულია, მსოფლიო მაშტაბით, მთელი სამყაროს მთლიანობით. სამხატვრო თეატრი მოკვდა. განცდათა თეატრი—მოკვდა. დღეს თეატრი არ არის, რადგანაც არ არის თანამედროვე რეპერტუარი...

ცირკის არენაზე გლადიატორთა სისხლი სდიოდა. ათასეული ბრბოს თვალწინ ადამიანები ერთმანეთს კბილებით ყელს უღრღნიდნენ, მხეცები ადამიანებს [illegible]. ბრბო სტკბებოდა, ბრბო ნეტარებდა.

# თეატრი.

„ვინ არის დამნაშავე?" სამ მოქმედებად. ნინო ნაკაშიძისა. რუსთაველის თეატრი, ოქტომბრის 21. სეზონის გახსნა.

პირველს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სეზონის გახსნისთვის ეს პიესა შეუფერებელია. ასეთი პიესები შეიძლება მოსმენილ იქმნას სეზონში სხვა პიესებთან ერთად. სადღესასწაულოდ კი—სადაც სიახლე ერთ ფოკუსში უნდა გამოინასკვოს—შეცდომაა ამ პიესით ალსავლით კართან მისვლა.

ნინო ნაკაშიძის დრამა უკვე ცნობილია. იგი ნიჭიერად გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის ისეთ მხარეს, რომელიც არ ყოფილა ჯერჯერობით სავსებით განსახიერებული სცენაზე.

გურია თავისი პროვინციალური შინაარსით და დეტალებით იყო ჩვენს მწერლობაში მოთხრობების სახით, ხოლო ამ კუთხის ხაზები და მომენტები ქართულ სცენას არ უნახავს რიგიან ფერადებში.

ნინო ნაკაშიძის დრამა—მართლაც დრამაა, დრამატიულ მომენტებით სავსე. ავტორმა მოგვცა გურია თავისი ფიცხელის ტემპერამენტით.

საზოგადოთ პიესათა ფერადების შერჩევაში დადგმის მხრივ დიდი ოსტატია ალ. წუწუნავა. წუწუნავას დადგმამ [illegible] სისრულით მოგვცა სოფლის ცხოვრების კოლორიტი.

ნინო ნაკაშიძის პიესა რეალურია და [illegible]ტივი. ოჯახის პატრონი რომ იშორდება ოჯახს—ოჯახი იღუპება: ერთ დროს საქმეს [illegible] აგენტები დადიოდნენ გურია-სამეგრელოში და იქიდან ხელ[illegible] და ახალგაზრდები მიჰყავდათ ამერიკაში შავ სამუშაოზე. საუცხოვოდ გამოგვცემს ამ „საქმიან კაცის" მანერებს ალ. კორძოლიანი. მისი თამაში მოკლებულია ბანალობას და ყოველი წვრილმანი მსახიობს მოზომილი აქვს. არ იყო არავითარი გადაჭარბება და ამ როლის გაშარჟება ხომ ძალიან ადვილია.

ფატის როლში პირველად ვნახეთ ანეტა ქიქოძე. ჩვენ საზოგადოთ წინააღმდეგი ვართ შედარებების, მაგრამ ვიტყვით, რომ ზოგიერთი მომენტები, რომელნიც ახასიათებდენ ანეტა ქიქოძეს ვერიკო ანჯაფარიძეს თამაშში [illegible]თალი იყვნენ. ფატის დაღუპვა და მისი სულიერი ფერისცვალობა ცრემლიანი მღელვარებით გადმოგვცა ანეტა ქიქოძემ.

[illegible]ის როლის ასრულებელი აკაკი ვასაძე უსათუოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ამ საღამოს მისი თამაში არ იყო ბუნებრივი.

[illegible]ილია წუწუნავა, პაშა შოთაძე, [illegible]ძის ქალი, შ. ლამბაშიძე და კორიშელი მეტად ტიპიურები იყვნენ.

არ ვიცი სხვები რა აზრისანი არიან, მაგრამ ჩვენ მაინც წინააღმდეგნი ვართ, რომ მთელი პიესა გურულის აქცენტით და კილოკავით მიდის. რას ემგვანებოდა რომ ქიზიყელმა ან ხევსურელმა ავტორმა ყველა მოქმედნი პირნი მთელ საღამოს განმავლობაში პროვინციალურ ჟარგონით ალაპარაკონ. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ერთმა ან ორმა პირმა ილაპარაკოს თავისი ადგილობრივი ენით.

გადაჭარბებული პროვინციალიზმი მავნებელია ხელოვნებისათვის.

**უჯავრელი.**

# არტურ ლეისტის იუბილე

თუ რეცენზია მხოლოდ შთაბეჭდილებას უნდა გადმოგვცემდეს, მაშინ მე შემეძლო ჩემი შთაბეჭდილება მოკლედ მეთქვა:

— მშვენიერი საღამო, ინტიმიური წრე, გულწრფელი ქართველობა.

საზეიმო საღამო სრულ ცხრა საათზე გახსნა კოტე მაყაშვილმა.

პირველი სიტყვა ეკუთვნის დამსახურებულ მსახიობს ვ. გუნიას. იგი ოთარბეგის ტონით წარმოსთქვამს გულწრფელს სიტყვას.

პროფ. ნუცუბიძე თავის ტემპერამენტით სიტყვაში შეეხო შეეხო გერმანეთის და საქართველოს სიმპატიებს და არტური დაახასიათა როგორც მცირე ერის კულტურის ქომაგი.

შემდეგ იწყება მილოცვები. სიტყვას ამბობენ: საქართველოს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის და სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, სრ. საქ. მწერალთა კავშირის სახელით გერმანულ ენაზე. სიტყვას ამბობს კონსტანტინე გამსახურდია. დამსწრე გერმანელები მხურვალე ტაშით აჯილდოვებენ ორატორს.

განათლების კომისარიატის წარმომადგენელმა ალ. მიქაბერიძემ თავის სიტყვაში სთქვა, რომ ნარკომპროსმა იუბილარისთვის გადასდო 15 მილიონი. მოსე თოიძემ მიართვა სურათი. საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელმა მიმართა მეტად მგრძნობიარი სიტყვით და მიართვა ვერცხლის კალამი.

იყო გარეთვე მილოცვები ქ. შ. წ. საზოგადოებისაგან (მწერალი ივ. ელიაშვილი), საქართველოში არსებულ გერმანელთა წარმომადგენლებისაგან, სომეხთა წარმომადგენლებისა, დეპეშები (ოვ. თუმანიანისა), ხელოვანთა კომიტეტისგან, „ტრიბუნას" რედაქციისაგან და სხვ...

მთავრობამ გადასცა 25 მილიონი.

დასასრულ იუბილიარმა ქართულ ენაზე მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და თავისი „სურვილები" ასე დაასრულა: —„აკურთხოს ღმერთმა საქართველო და ქართველი ერი"!

---

[illegible] არ არის ის დრო, როდესაც თეატრში აქტიორს სისხლით სავსე ბუშტი ჰქონდა ტანისამოს ქვეშ და როდესაც მეორე აქტიორი მას დანას (ბუტა[illegible]) დასცემდა, ვითომ ჭრილობიდან სისხლი თქრიალით გადმოდინდებოდა.

დღესაც, თუ დრამას უნდა სიცოცხლის სინამდვილე დაგვიხატოს, თუ სცენას უნდა დღევანდელი დღის სიცხადე გვაჩვენოს, სცენები ქუჩებიდან, მოედნებიდან, ციხეებში, მთებზე და მინდვრებში უნდა აკრიფოს.

დღევანდელი მოქმედება მასსიურია, კოლექტიური და მაშასადამე შემოქმედებაც მასსიური უნდა იყოს. როგორ მოაზერებს ამას მომავალი დრამატურგი, რა ფორმებს მონახავს, რანაირად მოაწყობს სცენას სპეციალისტ-ტეხნიკი ეს არ ვიცი, მხოლოდ ცხადია ის, რომ დღეს რეპერტუარი არ არის. [illegible].

ახალ დრამაში მონაწილეობას მიიღებს უკანასკნელი ასი მაინც მთავარი მოქმედი პირი და მასსა ხომ ასობით და ათასობით უნდა გამოვიდეს. ჭეშმარიტად, ეს თანამედროვე სცენის ბრალი! [illegible] უნდა ახალ გეგმაზე აშენდეს [illegible].

[illegible] მეტყვის: მაშ ბარემ-და სცენაზე ზარბაზნებიც დასდგითო...

მაშ როგორ გეგონათ! ზარბაზნები, [illegible] მოქმედნი დღევანდელს სინამდვილეში. [illegible] უნდა დაიდგას ასეთი დრამა? [illegible]ზითებში, ცის ქვეშ, მთებში, მინდვრებზე...

[illegible] რომ უმზადებს მომავალს ახალს [illegible]ას, თეატრს დიდ განსაცდელს: ეს [illegible]ურების დაუდგრომლობა, გიჟური [illegible]. აბა დააკვირდით, უსულო საგნები კი ბორგავენ, ხანგრძლივად [illegible] ადგილას არავინ და ვერაფერი [illegible]ცდის.

[illegible] წლობით იდგმებოდა ერთს ადგილას შკაფი, მაგიდა; წლობით ეკიდა [illegible] ჩარჩოიანი სურათები და თუ [illegible]რავდნენ ადგილიდან, იატაკს ავეჯის ნაკვალევი აჩნდა და კედლების [illegible] მზისგან გაუხუნებელი ადგილები [illegible]ოდა. რაში გამოიხატოს [illegible] [illegible]ტრში რეალობა, როდესაც დღეს [illegible] ფეხი აიდგეს და სურათე[illegible] [illegible]თაზიდან ოთახში, სახლიდან სახლში [illegible]დაძრწიან!

[illegible] ქუჩაში მხოლოდ უსაქმო კაცი [illegible] ნელის ნაბიჯით. მაგიდას მხოლოდ ჩასუქებული კონსერვატორი მოუჯდება მთელი საათობით.

დღეს გასაგებია კინოს გამარჯვება. საათნახევარში შეიძლება მთელი ლონდონი შემოირბინოთ; მიუვალი ციხესიმაგრე დაანგრიოთ და აიღოთ, ათასობით ხალხი დახოცოთ, მსოფლიო ტრაგედია განიცადოთ და... ისევ განაგრძოთ გიჟური სვლა.

როგორ დასძლევს თეატრი ამ სიძნელეს, ამ დაბრკოლებას? არ ვიცი. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს ეკრანსაც და შეიძლება თეატრმა ამით ისარგებლოს. ჩემი აზრით, სიცილს და ტირილს სხვა და სხვა გვარი ფსიქოლოგია აქვს. სიცილისთვის დეტალები საჭირო არ არის. სიცილის პროცესში ყველა გრძნობა ადამიანისა არ იღებს მონაწილეობას.

სატირალი შორიდან, თუ დეტალებს ვერ ჰხედავ და არ გესმის, სასაცილოდ გეჩვენება. ტირილისთვის მეტი, უფრო ხანგრძლივი შემზადება სჭირია ორგანიზმს. ამიტომაცაა კინოში შეიძლება გულწრფელი სიცილი, მაგრამ ტირილით ვერ აგატირებენ ეკრანზე ადამიანის აჩრდილნი.

კინოში [illegible], ახალი თეატრიც [illegible] სანახაობა იქნება, მაგრამ განცდასაც ვერ განდევნით და აი სწორედ ამ განცდით შეინარჩუნებს თეატრი სიცოცხლეს.

კინემო [illegible]ისთვისაა, ყველასთვის, მასსისთვის, თეატრი ყოველ შემთხვევაში რჩეულთათვის მაინც დარჩება.

ასეთია მოკლედ კონტურები ახალი დრამისა, ახალი თეატრისა.

პროგრესი, განვითარება სწორი ხაზებით არ მიდის. პროგრესი მუდმივი სვლაა, მუდმივი განმეორება,—„ვარსი მარადი", წრე მარადი.

ახალი დრამა ანტიურს ემსგავსება თავისი განმეორებით, მაგრამ იგივე, რასაკვირველია, არ არის.

კოლექტივიზმი, კომუნიზმი, ინდივიდუალიზმი კაცობრიობამ განვლო, მაგრამ კაცობრიობა ისევ უახლოვდება მათ.

იქ იყო პირველყოფილი ფორმა, იქნება კი ახალი ფორმა. ხელოვნება მაინც ანარეკლია ცხოვრებისა, ყოფაცხოვრებისა და დრამა [illegible] ასეთი უნდა დარჩეს.

მაშასადამე დრამაც გაიმეორებს **ახალს ფორმებში** თავის განვლილს ფორმებს.

San-Diani.

# საუბარი უბედურ ლ[illegible]

## ლექსი II.

ღამე: ნათელი და მთვარეული[illegible]
ლანდო, მითხარი: რამ შეგაშინ[illegible]
„ვარ მოჩვენება სიზმარეული
არ მაქვს სიმშვიდე, არა მაქვს [illegible]

სივრცე: საბურველ გადარღვევ[illegible]
ლანდო, მითხარი: სად წაჰყვე[illegible]
„ვარ შუაღამის წყლულად ჩნე[illegible]
და სიცივეში სული ქარს მიაქვ[illegible]

ზმანება ჩქარი ვით ელვის კვალ[illegible]
ლანდო—სად არის თვალი ნაპ[illegible]
„თვალი ნაპირის მე გავაწვალე
ბნელი ვარ მიტომ და მარად ვ[illegible]

ხეების თრთოლა. შუქის კანკალი
ლანდო—ღამეში სიკვდილი და[illegible]
„მე ვარ სიკვდილი, ასული ალ[illegible]
მოსული ქვეყნად ულევად ვად[illegible]

სახე ღვთაება და გათვალული.
ლანდო—შავია შენი მიზანი!
„მე გრიგალებში ვიყავ მალული
[illegible]

გზები ნამორი და დაკვალული.
ლანდო, მითხარი: რისთვის ხარ [illegible]
„მე პურუსები მახლავს მთვარეუ[illegible]
საცეცხლეებში გავიდე უნდა".

ფიქრის შრიალი ქცეული ქარად
ლანდო—იწვება სული სათუთი.
„მე შენთან ვივლი უხილავ ზარ[illegible]
ვით მწუხარების უენო წუთი".

ყოფნა სიზმარის გამომსახველი.
ლანდო—ცრემლების ნისლია ღ[illegible]
„შენ და წამება: ჩემი სახელი
ვიქნებით ერთად, ვიქნებით მარ[illegible]

1922
ზამთარი.

[illegible]შვილი.

# სიმღერა

უნდა კვლავ ცხვარში წავი[illegible]
იქა სჯობია ისევა.
აქ უბუნებო უღელ ქვეშ
გული ცვდება და იხევა.
რომ დავაგუბე ზღვა ცრემ[illegible]
ჩემ წასაღეკად ირხევა.

უნდა კვლავ ცხვარში წავ[illegible]
მოვწყდე უგულო ქალაქს,
მთის მწვერვალიდან უყურ[illegible]
მდინარის ალყა-მალყასა.—
ალარა მრჩება ქალაქში
დასანანები ამაყსა.

დავჯდები სადმე მწვერვალ[illegible]
წინაპართ შესანანები,
ნისლებს დავიწყობ გულ-[illegible]
თვითაც მთას დავემგვანებ[illegible]
და ზარიანად ვიტირებ:
მტერთ წამიხდინეს ყანები[illegible]

მოუხმობ ვაჟას, ყაზბეგსა,
მინდიას და სხვა მოძმეთა[illegible]
ვეტყვი, იგიც მაქვს სატ[illegible]
რისაც თქვენ მყავდით მო[illegible]
ძმანო, აჰზნისამ სოფელში
კვლავ ავი მოიმოქმედა...

მთავ, გამიმთელე კვლავ [illegible]
შენი სიტურფის მზერითა,
რომ კვლავ დავბრუნდე [illegible]
როგორც მეცხვარე მღერ[illegible]
რომ მახსენებდნენ [illegible]
კაი ლექსების წერითა!..

1922

[illegible]ილი

# თეთრი ქორწილი

სიმაღრს ძალა ელევა მძლავრ [illegible]ილში,
სასძლო ცივად ირთვება თეთრ[illegible]ილში;
მოურავი ერთგული გზათ შავ [illegible] ჩახმავს,
ვით ქაჯის ხორცებსა თეთრ ჩა[illegible] კაზმავს.

საზეიმო შარაზე წკრიალებენ [illegible]
თეთრ მაგიდას ამკობენ უკვე[illegible]
იმართება ნადიმი ბამბის კარვ[illegible]რებით.
მოდის მეფე დედოფლით ური[illegible]

შავ ჯურღმულში მონათა ხდე[illegible]ლე სერობა,
საიდუმლოს ამჟღავნებს პროცესია [illegible].
მოურავი სასტიკი გზას ჯარებით [illegible]
და უჯიათ მონებსა თეთრ ხუნდებით დაბორკავს.

მეფე ჯალდოს მოუძღვნის საიდუმლოს გამცემელს,
ანგელოზნი გაშლიან საქორწინო სარეცელს,
მიეუმდება ყოველი გარდა ფრთახილი სიღერის,
სიჩუმეში ფითრდება ცივი კოცნა სითეთრის..

[illegible]. უზნაძე.

# ქართველები

ლურჯ პირამიდებს, მინდვრებს,
წყალთა ტეხილებს,
თავდაჩეხილებს მთებს მაღალთა, თეთრ ქედიანებს...
მუჭა და დარჩა ჩვენი ჯიში შემონახული
ამ ცოფიანი საუკუნის მქვინვარებამდე.

დროს არ აქვს ბოლო, არც უჩანს თავი,—
ვართ ბარბაროსულ ჯვარის მტვირთავი.
მივყავდით ქაჯებს და კუდიანებს
დროთ უნაპირო უდაბნოში,—
და მწუხარება სულ წინ გვრეკავდა.

ვამბობდით აკებს, ვლესავდით ხანჯლებს,
გავსჭედეთ რკინა, ვერცხლი, თუთფერი.—
კაცთა ნაშიერს მაგარ ლერწამი ჩავდეთ გულში.

გვცემდა სამხრეთი, ვცემდით დამხვდური;
ვებრძოდით მაღრიბს და ჩრდილოელებს.—
უბედურება გვჩრიდა შავს ხელებს—
შეურაცყოფით ჩვენ სირცხვილის გზებზე გვრეკავდენ.

მთვარე, არმაზი, ვაზის ჯვარი და გველეშაპი,—
[illegible] გაფრენილი სულის წვალება,
ფერისცვალება, დაფუძნება და სხვა მაშტაბი
და რაინდობა მაღალ განცდით მაღალ სფეროთი
ჩვენ გადვიარეთ.

სისხლის ამღები, ველური ჯიშის
დაჰშულ სხეულით მოუსვენარი;
ცეცხლთან თამაში, ხმლების ვარჯიში,
გვიტაცებს როგორც ფიქრი ზენარი.
დამნაშავე ვართ, თუ არ გვქონდეს კაცთა ბუნება.

გვიყვარს ექსტაზით ცხენის ჯირითი,
გვიყვარს ქეიფი სუფრაზე ძმური
ძვირფასი ქცევა როგორც ბივრიტი
წაილეთ ვიდრე გვაქვს მედიდური.

დღეს პინკებივით მივდევთ ევროპას,
ჰკუას ვთავაზობთ მარდი ხელობით.
და ყოველ მოდგმას ვასწავლით ბჭობას
ჩვენი ქართული მჭერმეტყველობით

ვიცით ტერორი, ვართ პარტიზანი,
და ბრძოლის გეზის ვიცით გარება,
და სიყვარულის მჭკიცე მიზანთან
გულით გალესილ ჩანჯლის ტარება.

ჩვენ დირიჟორის ჯოხები გვინდა,
ჩვენ ყველას გვინდა პრეზიდენტობა.
თუმცა სიმღერით თმები დაგვცვივდა,
მაგრამ სცენაზე ვიცით დენდობა.

და ისევ ვართობთ გასაფრენ რაშებს,
ზღვის ძებნაში ვამძაფრებთ სურვილს.
არ ვთვლით წაგებულ ბრძოლის ტრიაჟებს,—
ვეძახით შვილებს ძლევით აღჭურვილს.

**ირაკლი ტოფაძე.**

# ნიცშეს წინ

გაგიჟდა: ყელზე მოება თოკი...
ღმერთო ძლიერო!.. მე მას უყვარდი...
მას ალექსანდრე ხიბლავდა ბლოკი,
მე მიტაცებდა ოსკარ უალდი...

ჩვენ ცეცხლი ვსვანით ღმერთად, მშობლად:
შემოვიძარცვეთ ტანთ სამოსური,
და ერთმანეთის გასათბობლად
დავსწვით კოკონი [illegible].

ტურფა ედემის ყვავილებს შორის
ზეაკრძალულის ვიგემეთ ხილი,
მაგრამ მოგვესმა კვნესა თაბორის
და იელვას რისხვით ძახილი.

მან ვერ გაუძლო ღმერთების ბრძოლას:
არყოფნის ყოფნის მეტად ეჩვენა:
და ჩონჩხათ ქცეულ სიკვდილის თრთოლას
გაშლილ ხელებით მკერდს მიესვენა...

მეტი სიმღერა მას არ სდომოდა:
ქვეშ დაეფინათ ძველი მატრაცი...
გაყინულ ტუჩებს ზედ დაკვდომოდა
მწარე ღიმილი კლეოპატრისა...

და მე ქაოსი. სულ წაღებული:
—არც თუ ბილიკი, არსად ჩანდა შანი—
ვიდგე ნიცშეს წინ თვალდაღებული
მოხრილი, როგორც კითხვის ნიშანი...

**ს. ურუშაძე**

# ოპერის კვირეული.

### რამდენიმე სიტყვა „სევილიელ დალაქზე".

ჩვენი პირველი ანგარიში საოპერო წარმოდგენების დავათავეთ შენიშვნით ,,სევილიელი დალაქის'' შესახებ—ხოლო ახლა კვლავ გვსურს დავუბრუნდეთ რამდენიმე სიტყვით ამავე ოპერას. ამის მიზეზია ის ნოვატორობა, რომელიც რეჟისორმა **ბოგოლიუბოვმა** გამოიჩინა ამ ოპერის დადგმით.

ბოგოლიუბოვი მეტად საინტერესო მოვლენაა ჩვენის თეატრის წიაღში. რუსეთში იგი ცნობილია ვით ოპერის გამოჩენილი რეჟისორი. მან ძალიან კარგად იცის როგორც სცენის ავ-კარგი, ისე თვით მუსიკაც. დიდი გამოცდილების სასცენო მოღვაწეა და კარგა ხანი მუშაობდა მარინის თეატრში. ბოგოლიუბოვი უმთავრესად რეალური ტონის ხელოვანია. მისი ინტერპრეტაცია შეიცავს თვალის მომჭრელ ფერადებს და მოძრაობის სიცხოველეს. ეს მან ნათელჰყო ,,კარმენში''. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მოდერნისტულ ფორმებს გაურბის. ეს მან იმით დაამტკიცა, რომ ,,სევილიელი დალაქი'' შერწყმ[illegible]ით მოაწყო (თვით სევილიის [illegible]) ხოლო ჩვენი ყურადღება მიიქცია დადგმის არა ამ მხარემ, არამედ აი რამ.

ბოგოლიუბოვმა ,,სევ. დალ.'' შეიტანა ბალეტი, უფრო—კი პანტომიმა ინტერმედიის სახით.—თვით ოპერაში საბალეტო მუსიკა არ არის, არც მომენტია საამისო. ბოგოლიუბოვმა ამისათვის ისარგებლა უვერტიურით. როდესაც ორკესტრი ამ უვერტიურას უკრავდა, იმავე დროს ბალეტი სცენაზე პანტომიმას ასრულებდა. პანტომიმა—კი შეიცავდა სქემატიურ შინაარს ,,სევილიელი დალაქი''—სას: იგივე პერსონაჟები საბალეტო სამკაულში, იგივე მსვლელობა მოქმედებისა.

ბევრს ეს სიახლე ძალიან მოეწონა,—რაღაც უჩვეულო სიომ დაჰბერაო და როსინის მობერებული მუსიკა გააცოცხლაო—ამბობდნენ იგინი.

ჩვენ ვერას გზით ამ აზრს ვერ გავიზიარებთ.

,,სევილიელი დალაქი'' გენიალური ნაწარმოებია, ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომლის უარმყოფელი ჯერ არავინ გამოჩენილა. იგი კლასიკურ ნაწარმოებად არის აღიარებული და კომიკური ოპერის სფეროში მისი ბადალი არ მოიპოვება... [illegible] და ბომარშეს გალური [illegible]სობა ერთმანეთს გადაე[illegible] ხნატკბილად და შეიქმნა საკვირველი ნაყოფი, რომელიც საამური დამატკბობელია სმენისა.

ხაზების ენით რომ განვმარტოთ მისი სიტურფე—იგი უდრის—ბენვენუტო ჩელლინის საოცნებო ჩუქურთმებს და სახეთა მოხაზულობას.

ამის შემდეგ, განა საჭიროა კიდევ რამ დამატება ამ ჯადოსნურ ენისათვის რომელიც თვის წყაროსავით ჩამოჩუხჩუხებს მზის შუქით აბრწყინებული?!

ნუთუ ბალეტს, ამ, შედარებით, დაბალ ხარისხოვან ხელოვნებას შეეძლოს შემატოს რამ როსსინის მუსიკას? მერე რა ბალეტს? ისიც ჩვენი თეატრისას?!.

არა. ამ რიგობაზე ბოგოლიუბოვს კოჭი ალჩუზე ვერ დაუჯდა. მისი ნოვატორობა კარგი გემოვნებისა არ გამოდგა.—საუვერტიურო მუსიკას პანტომიმა ისე მოუხდა, როგორც მზეთუნახავს უმარილით შეთხუპვნა. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ლოტბარმა ბრონშ[illegible] ყოვლის მხრით ხელი შეუწყო როგორც უვერტიურის, ისე მთელი ოპერის უფ[illegible]როლობას.

### რიგოლეტო

[illegible] დიდებული—ჯუზეპე [illegible] ჩვეული უხვით შემოქმედება სამ [illegible] რიოდად განიყოფება. პირველ [illegible] ეკუთვნის „ტროვატორე," „ტრავიატა," „ერნანი," „რიგოლეტო," „მასკა-[illegible]" და სხვ. მრავალი ოპერა.

მეორეს: „აიდა" და მესამეს—„ოტელ[illegible]"—ვერდის აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებული ნაწარმოები „ფალსტაფი" სადაც იგი წინანდელ ვერდის სრულიად არ მოგვაგონებს. ასეთია მუსიკალური კრიტიკის აზრი,—ჩვენ [illegible] ეს ოპერა არ მოგვისმენია.

ხოლო რაც შეეხება პირველ ციკლს, —უმრავლესობა ამ ოპერებისა [illegible] და მეტად სუსტი როგორც მუსიკალური დრამა, გამონაკლისს შეადგენს „რიგოლეტო,"—ეს ნამდვილი, ძლიერი დრამა, რომელშიაც [illegible] „რიგოლეტოს" ლიბრეტო შედგენილია [illegible] დრამის მიხედვით.

ამ ოპერაში რომ [illegible]

„რიგოლეტტო“ ისეთ დროს არის დაწერილი როდესაც ორკესტრს, ხოროს ე. ი. მუსიკის მასსობრივ მხარეს დიდი ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული და ვერდიც ქედს იხრიდა ტრადიციის წინაშე. აქი შემდეგში მან ძირითადად შესცვალა ერთიც და მეორეც თუმცა ამასთანავე დარჩა იმავე უებრო მელოდისტად.

მაგრამ ის ცოტაც კი, რაც საამისო „რიგოლეტოში“,—ისიც შესანიშნავია. მაგალითად ოპერის შესავალი თვალნათლივად გიჩვენებთ, რომ თქვენ უეჭველად კატასტროფის მოწმე შეიქნებით. —ასეთივეა მონტერონეს თვითეული ფრაზა, რიგოლეტოს და სპარაფუჩილის დიალოგი, მეოთხე მოქმედების დიდებული კვარტეტი და ტრიო.

რიგოლეტოს როლში გამოვიდა ტფილისისათვის სრულიად ახალი მომღერალი ბერიტონი **გორელოვი**. მომღერალმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. აქვს მადლიანი ხმა, დაბალსა და შუა ფარდებში საკმაოდ მკვეთრი და მეტყველი, მაღალ ფარდებში, ცოტა არ იყოს, შეზღუდული, თუმცა უწყვეტ დონემდე აღწევს. დიქცია მკაფიო, ფრაზირობა მნიშვნელოვანი. სცენაზე თავი დარბაისლურად უჭირავს. ამ დარბაისლობით აიხსნება, თითქოს მას მგზნებარეობა აკლდეს. საზოგადოებამ იგი კმაყოფილებით მიიღო.

ჯილდას როლში ქ-ნი **პაპოვა** უფრო მეტად მოგვეწონა, ვიდრე დონნას როლში. მის სიმღერაში მეტი ხმოვანობა ისმოდა და საკინძმანწერო ადგილები ხომ ჩინებულად შეასრულა. ამ მხრივ აღსანიშნავია მეორე მოქმედების არია.

ტენორი **ლევიცკი** ჰერცოგის როლში ყოველის მხრით სუსტი იყო. უცნაური ხმა აქვს ამ მომღერალს,—მეტის მეტად მძაფრი გამყივანი; თვითეულ ძგერას საშინელი ტრემოლო ერთვის, თითქოს სიმღერის დროს არტისტი ძაგძაგებდეს და ხმა განუწყვეტლივ ქანაობდეს. სრულიად არ ეტყობა ხმის მიზნდილობა, რისგამოც სიმღერა ერთსულოვანი გამოდის. არც ფრაზა, არც გამოთქმა; ასამაღლებელი კი ეხერხება.

ბანდიტს პარაფუჩილეს როლში **იხეცკი**—მშვენიერია.

უნდა აღვნიშნოთ შეუსაბამო ტრადიცია, რომ მონტერონეს როლს მეორე ხარისხოვან მომღერალს აძლევენ ხოლმე. პარტია, მართალია, პატარაა, მაგრამ თვითეული ფრაზა ამ უბედური ადამიანისა მოითხოვს მომღერლისაგან უაღრესად ძლიერ ხმას, მეტყველ გამოთქმას და ტემპერამენტის მგზნებარეობას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, აკლდა მის ამსრულებელს გობრახოვს. ლოტბარი **ხრონ** ამ რიგობაზედაც ვერ იდგა სასურველ დონეზე.—მეტის-მეტად აჩქარებდა ტემპებს, რაც მომღერალთ თვალსაჩინოდ ხელს უშლიდა.

## ა ი დ ა.

იმ უბრალო გარემოებამ, რომ 1869 წ. კაიროში (ეგვიპტე) თეატრის შენება იქნა დამთავრებული და მისი გახსნა ახალი ოპერით უნდოდათ,—წარმოშობა ხელოვნებისათვის მეტად უდიდესი ფაქტი—ოპერა „აიდა“.

ეგვიპტის ქედივის დავალებით, მაშინ უკვე სახელგანთქმულ ჯუზეპე **ვერდის** შეუკვეთეს ოპერა, რომლის შინაარსი ეგვიპტის წარსულიდან უნდა ყოფილიყო. დრამის სიუჟეტი ამ ოპერისათვის თითქმის იქიდანვე მიაწოდეს ავტორს. ლიბრეტო შედგენილ იქნა ამ სიუჟეტის მიხედვით და დიდებულმა კომპოზიტორმა ეს, რიცხვით ოცდამეშვიდე ოპერა სულ მოკლე ხანში დასწერა, რისთვისაც 10.000 მან. მიიღო.

როგორც კაიროში, ისევე ყველგან, სადაც კი იგი დადგმულ იქნა,—ოპერამ ავტორისადმი ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომლის მსგავსი მაგალითი არავის ახსოვს.

მართლაც და „აიდა“ დიდებული ნაწარმოებია. იგი ნამდვილი მუსიკალური დრამაა. სადაც მომენტის დრამატიზაცია მუსიკის საშუალებით უუმწვერვალეს ხარისხამდე აღწევს. სადაც აზრი და ბგერა საკვირველის თანხმობით გადაიშლება მსმენელისათვის ტანჯვად თუ სიხარულად, საგმირო საქმედ, თუ სიყვარულის ნარნარებად, ცალკე პიროვნების გულისთქმად, თუ ადამიანთა მასის გრძნობათა ქარტეხილად.

ცნობილი უებრო მელოდისტობა სრულიადაც ხელს არ უშლის ვერდის ღრმა ტრაგიკულ პათოსის შექმნისათვის, პირიქით, ეს მისი ნიშანდობლივი თვისება იშვიათის ხმაშეწყობილობით აფერადებს უდიდეს სულიერ აღძვრათა გამოთქმას, ცალკე ადამიანი იქნება ამის ობიექტი, თუ მასსა.

ისმენ ამ თილისმა მუსიკას და ჰგონია, რომ შენს თვალწინ აღმართული ბუმბერაზი შენობები, ცათამდე აზიდული სვეტებით, გაურკვეველი იდუმალების გამომხატველ სფინქსებით, კუთხედიანი მოხაზულობის ფიგურებით,—ყოველივე ეს საუკუნეთა წიაღში შთანთქმული კულტურა მძლეთამძლე ხალხისა, იღვიძებს, ცოცხლდება და მოქმედობს შენ თვალწინ—ვერდის მუსიკის უდიდესი ნაწილი ეკლექტიურია: მხოლოდ ზოგ ადგილას აღმოსავლეთის ჰანგებით მოსევადებული,—შენდაუნებურად უნდა სთქვა, რომ მხოლოდ ეს ციკლოპიური აღნაგი შენობები და სვეტები თუ დაიტევს და და იგრძნობენ იმ ძლიერ ტრაგედიას ზე-ადამიანთა სულისას, რომელსაც ჰხატავს ვერდის შემოქმედება.

ვერდიმ შექმნა სრულიად ახალი, მუსიკის უჩვეულო ფორმები და სახეები. მან აამეტყველა ორკესტრი და ხორო ისეთის ძლიერებით, რომ მისი თანაბარი ადგილები უნდა ეძიოთ მხოლოდ დიდებულ მეუსიკეთა ნაწარმოებებში, ისიც იშვიათად თუ შეხვდებით. ამასთანავე ყოველთვე ეს გამოკვეთილ ფორმებშია ჩამოქნილი და თანა სდევს ის გამჭვირვალება და მზიანობა, რაც ვერდის ნიშანდობლივ ღირსებას შეადგენს.

ავილოთ, თუ გინდათ, ოპერის შესავალი, რომელიც შედარებით პატარაა (ვერდის არ უყვარდა დიდი უვერტიურების წერა). რამდენი წუხილი და ღრმა კაეშანი ისმის თვითეულ საკრავში და ვილოონჩელი და სხვა სიმიანი საკრავები ნათლად გამოხატვენ ტანჯული ადამიანის გმინვასა და კვნესას. ორკესტრი სტირის და შფოთავს იმის შესახებ, რაც უნდა მოხდეს.

გავიხსენოთ პირველი სურათის ენერგიით სავსე შეძახილი რადამესის მიმართ—„დაბრუნდი გამარჯვებული“ და თვალ წინ წარმოგიდგება ზღვევის გრძნობით აღძრული ერი, ზღვასავით ბობოქარი და მასთან დაპირისპირებული ლირიკულ—დრამატიული ჰანგი მწუხარე აიდასი.

ან კიდევ სცენა დავონის ტაძარში, სადაც რამესი მიიღებს ღმერთების მიერ დამწყალობებულ ხმალს. ეს სცენა საუკეთესო სცენაა, ჩვენის აზრით, მთელს ოპერაში. საკვირველის ხმისწყობულებით არის გადმოცემული ერთისა და იმავე დროს ლოცვის ექსტაზი ტაძარში მყოფთა, ადგილ-ადგილ მინელებული, ადგილ-ადგილ კი ზეაზიდული,—და სარწმუნოებრივი რიტუალი ბალეტის სახით.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი სურათი (მესამე) ამნერისის და აიდას დიალოგი, პირველის მედიდურობისა და მძულვარების მჩენი ხოლო მეორის სასომიხდილობის გამომხატველი.

მეოთხე სურათის სამხედრო მარში მთელი ანსამბლი შედევრია გამარჯვებული ხალხის უზომო აღტყინებისა და ტიტანობის გამოსახვისა ერთის მხრით და დამარცხებულთა ვაებისა—მეორეს მხრით.

მეხუთე სურათი—ნილოსის ნაპირად, საკვირველის ლირიზმით არის გამსჭვალული და აღმოსავლეთურ ეგზოტიზმით გაღუენთილი. ამ სურათის მუსიკა საოცნებოა, უაღრესად პოეტური, ერთსა და იმავე დროს დიდი წუხილის აღმძვრელი და სმენის დამატკბობელი, გეგონებათ თქვენს წინაშე ბურუსიანი ნათელი კრთოდეს და სივრცეს რაღაც უხილავი გაფენისაგან თბილად ნაქსოვი ქსოვილი ჰქონდეს გადაფარებული, მთლად გამჭვირვალე. აქვეა შესანიშნავი დრამატიზმით სავსე ფრაზები ამონასროსი და რადამესისა.

იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნულ სურათში მუსიკის ცხოველმყოფელობა ზენიტამდე აღწევს და გგონია, რომ უკვე დაიდვა საზღვარი, რის იქითაც დაღმართი უნდა დაიწყოს,—მაინც რადამესის გასამართლების სურათი უძლიერეს შთაბეჭდილებას სტოვებს, ისეთი ტრაგიკული პათოსით არის აღსავსე. აქ ორკესტრი იძლევა საკვირველ ეფექტებს, თითქოს ხმა ქვესკნელიდან ყრუდ მოისმის.

უკანასკნელი სურათი კაეშნური ლირიზმით არის გამსჭვალული და მეტად მელოდიური დუეტით თავდება, რომელსაც რელიგიური ჰანგი დაერთვის ხოროსი.

დრამის შინაარსი არ მოგვყავს, რადგანაც სიტყვა გაგვიგრძელდა და ამას გარდა, იშვიათია ასეთი თეატრში მოსიარულე, რომელსაც „აიდა“ არ ენახოს.

ახლა გადავიდეთ თვით წარმოდგენაზე (ოქტომბ. 21)

მშვენიერი წარმოდგენა იყო. ლოტბარი ივ. ფალიაშვილი, რეჟისსორი ბოგოლიუბოვი და თვითეული მომღერალი ხმაშეწყობილად ამუშავებულან, რომ შექმნათ ძლიერი შთაბეჭდილება.

**ივ. ფალიაშვილმა**, რომ იტყვიან, თავის თავს გადააჭარბა მრავალჯერ მოგვისმენია „აიდა“ აქაც და სხვაგანაც და გადამეტებად ნურავინ ჩამოგვართმევს, თუ ვიტყვით, რომ არასდროს ორკესტრს არ მოუცია ის ნიუანსები, ის მთლიანობა, საკრავთა ხმიანობის მინიმუმი და მაქსიმუმი, რაც სამშაბათის წარმოდგენაზე მოვისმინეთ. ლოტბარის გრძნეულმა მარჯვენამ უკანასკნელ ბგერამდე ამოსწურა თვითეული საკრავის შესაძლებლობა, საცა საჭირო იყო, და შექმნა ხმათა მთლიანი ნაკადი, რომელიც მრავალფერად იშლებოდა სივრცეში.—ორკესტრი ზოგჯერ შფოთავდა, ჰქმინავდა ზღვასავით, ზოგგან ნელად იწვოდა გრძნობის ცეცხლით.—ლოტბარის თვითეულ მხატვრული მიღწევა რომ აღვნიშნოთ, მაშინ იძულებული გავხდებით ჩამოვწეროთ მთელი ოპერის საორკესტრო ადგილები, რადგანაც არ გვახსოვს მომენტი შეუსაბამო ან სუსტი მომენტი ორკესტრის ნამოქმედარისა.—გამოვყოფთ მხოლოდ ოპერის შესავალს, რათა ვთქვათ, რომ ამ შესავლის ასეთი სიწმინდე და მეტყველება არასდროს არ მოგვისმენია, თვით ფალიაშვილისაგანაც წინათ. მაშასადამე თვალნათლივი ხდება, თუ რა შეუწყვეტლად ვითარდება და იზრდება ამ ხელოვანის დიდი ნიჭი.—

ბოგოლიუბოვმა მოგვცა შესანიშნავი სასცენო „დადგმა“ ოპერისა, რომლის მსგავსი ჯერ ტფილისს არ უხილავს. დეკორაციები სტოვებს ბუმბერაზულ შთაბეჭდილებას. არქიტექტურის ეპოქასთან შესაბამობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ დეკორაციებს,—უნდა ვსთქვათ, რომ აქ მთლიანობა არ იყო დაცული. რაკი შირმების და ფარდების შერევაა მიღებული, რაღა თქმა უნდა სტილის მთლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ბოგოლიუბოვმა შესძლო ყოველი სურათისათვის რაიმე ერთი ფიგურით, სვეტით თუ მოხაზულობით—ეგვიპტურ საარქიტექტურო კულტურის ასახვა და ამ მთავარ მოტივს აადევნა სხვა შესაბამი ნაწილები:—შირმა, ფარდა და სხ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოდერნისტულ და რეალისტურ ელემენტის შეთავსებასთან. იქნებ ბოგოლიუბოვი კიდეც სცდებოდეს ამ პრინციპის განხორციელებაში, მაგრამ მან გაიმარჯვა, მოგვცა სასურველი შთაბეჭდილება და ამის გამო დავას ვერ ავუტეხავთ. მაგრამ აი რაში არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ნიჭიერ რეჟისორს: ზედმეტია მეორე სურათში (ტაძარი) ბალეტის გადაჭარბებულ [illegible] მოჯგუფება და წრესგადასული ეგზალტაცია. აგრეთვე მეოთხე სურათში სამხედრო მარშისათვის ბალეტურ პანტომიმის ადევნება ჩვენ მიგვაჩნია შეცდომად და საერთოდ-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოგოლიუბოვი თითქმის ყოველთვის ბალეტს მეტის-მეტად გაზვიადებულ როლს უთმობს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს იგი მოსაწყენი ხდება. მაგრამ უდიდესი შეცდომა ბოგოლიუბოვისა, ჩვენის აზრით, სასამართლოს სურათის გამოტანაა მაყურებელთა წინაშე. ამ დადებულმა სცენამ (მუსიკის მხრით) სრულიად დაჰკარგა თავისი ზარდამცემი სახე. უბადრუკი იყვნენ ქურუმნი—მსაჯულნი თავიანთი ვითომდა სტილისტური კუთხედიანი ხელის კეცვით და წევით, ასევე იყო რადამესის უმეტყველო ფიგურა და პაპირუსზე იეროგლიფების დამწერი. მსმენელის ფანტაზია გაცილებით უფრო ძლიერ სურათს წარმოიდგენდა მარტო ვერდის ჯადოსნური მუსიკის მოსმენით, ვიდრე იმ სანახაობით, რაც მის თვალთ წინ იყო.

„აიდა“-ში მონაწილეობას იღებდა ტფილისისათვის ორი სრულიად უცნობი მომღერალი: ქ-ნი **ბარროლეტი-მეტლიამ** (აიდა) და ბ-ნი **აგრინოვსკი** (რადამესი).

**ქ-ნ მეტლიამს** ძალიან კარგი ხმა აქვს, დრამატიული სოპრანოს ტემბრით ძალიან ეხერხება ხმა-მიწოდებული სიმღერა. აქვს მეტყველი ფრაზა (მუსიკალური) ხოლო არამკაფიო დიქცია. არტისტს დიდი მღელვარება ეტყობოდა, როგორც ზოგიერთ ადგილას დეტონაციას ვერ ასცდა, მაგალითად პირველ სურათის ფინალში. ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა—მეხუთე სურათში (ნილოსის ნაპირად), დიდი ლირიზმი გამოიჩინა და გრძნობის მეტყველება.—ეტყობა სასცენო გამოცდილება.

ბ-ნი **აგრინოვსკი**, მუსიკალობით სავსე მომღერალია, მშვენიერი, მეტად სასიამოვნო ტემბრის ხმის პატრონი, განსაკუთრებით დაბალსა და საშუალო ფარდებში. საუცხოო დიქცია და ფრაზა აქვს. როგორც გავიგეთ, მომღერალი შეუძლოთ იყო, მაგრამ ამისდამიუხედავათ მეხუთე და მეექვსე სურათში ძლიერი ხმოვანება მისცა ხმას და მსმენელთა თანაგრძნობა გამოიწვია.—სცენაზე თავი სათანადოთ სჭირა, თუმცა კარგ საოპერო ტრაფარეტს არ გასცილებია.

ამონასროს და ქურუმის პარტიებს მღეროდნენ ბ-ნნი **ინაშვილი** და **ისეცკი**. რაღა თქმა უნდა, ორივენი კარგები იყვნენ. ინაშვილის ხმა ამ რიგობაზე სრულ ხმოვანებას იძლეოდა. ვურჩევთ შეასუსტოს გადამეტებული ეგზეკცია, ძალიან ხელს უშლის მის მეტყველ დიქციას და ფრაზას. ისეცკი მეტად სტილისებურ სახეს იძლევა.—გეგონებათ ნამდვილი მუმია იყოს, საუკუნოების წიაღიდან გამომზირალი.

ძალიან მოგვეწონა ბ-ნი **ბლაგოოზრაზოვი** ფარაონის როლში, ხოლო მეტისმეტად გაგვაკვირვა ნიჭიერმა ქ-მა **ბარონკინამ**, რომელმაც ამ რიგობაზე არც სასცენო სახე ამნერისისა და არც ხმის მეტყველება არ გამოიჩინა. ალბად იყო რაიმე მისგან დამოუკიდებელი მიზეზი.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო—დარბაზში აღტაცების ხმა გაისმოდა ნანახისა და მონასმენის გამო.

ინენ.

## ბიბლიოგრაფია.

### ქ. შ. წ. გ. საზოგადოების ხელნაწერი.

**ანტონ I კათალიკოზის „ღმრთის მეტყველება“.**

№№ 3657; 3658; 3659; 3660.

დასასრული

**ტომი მეოთხე**

(№ 3660)

**„უთნოებითი ღმრთისმეტყველება.“**

აი სრული სათაური: „ანტონის მიერ დავითიან ბაგრატოვანისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა, აღმოღებული ჰაზრა ავან რომსიისა ღვთის-მეტყველთასა, თავის უთნოებითისა ღვთის-მეტყველებისა. სამნაწილოანი, ღვთის-მეტყველებისა ყოფაქცევითისა ტომი მეოთხე. ღვთისმეტყველებისაებრ სილასტიკაისა“.

ტომს წინ უძღვის წინასიტყვაობა ერთ თავად და 7 პარაგრაფად.

თვით „უთნოებითი ღვთისმეტყველება“ განიყოფა სამ ნაწილად: 1. „თვის გამობისა სულისა წმინდისა“, 2. „უთნოებათაგან განმართლებისათვის შეცოდებულისა კაცისა იესო ქრისტეს მიერ“ და 3. „თვის ცოდვათა სასიკვდინეთა და მისატევებელთა“.

ტექსტის ბოლოში გადამწერისავე ხელითა და იმავე მელნით სწერია: „სრულებით სრულ იქმნა მარტს 12. წელსა 1780“.

ტომს დართული აქვს თავთა სარჩევი და ვრცელი ანბანური საძიებელი. საძიებელის ბოლოს ტექსტისავე ხელით და იმავე მელნით:

„დასასრული პინაქს-სიტყვაობისა მეოთხის ტომისა. აღწერილი ყოვლად უღირსისა ტრიფილესაგან მღვდელმონაზონისა. სრულებით სრულ-იქმნა ნოემბრის. 26. წელსა, 178(0).*) ვიწყე სეკდემბერს. 20. 1779“.

ამ მეოთხე ტომის ორი უკანასკნელი პარაგრაფი (§§ 190 და 191) ანტონის შესახებ საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ცნობებს შეიცავს. სახელდობრ, როცა ეს ტომი დაუთავებია, ანტონი სამოცი წლისა ყოფილა: „სამოცდა პირველსა შ ა წელიწადთა სიმრავლესა შემოველ აწ მდგომარესა ამას შ-ა წელიწადსა, თთვესა ორდომბერსა, რიცხვსა 17“.**) და შემდეგ ჩამოსთვლის თავის 23 ნაშრომს, რომელთაც ორ ჯგუფად გაჰყოფს: ა) საერო-საფილოსოფოსონი და ბ) საქრისტიანო მოძღვრებითანი. აი ეს სია:

**ა) პირველი ჯგუფი:**

1. ღრამმატიკა (ვრცელი); 2. ღრამმატიკავე (ყრმათათვის); 3. რიტორიკის თარგმანის მაგალითები და ახსნანი; 4. ბაუმეისტრის ფილოსოფიის წინასიტყვაობაობა; 5—6—7. იმავე ფილოსოფიის სამი ნაწილის სხოლიონი; 8. ვოლფის ფიზიკის სხოლიონი; 9. კატიღორია (არისტოტელისა და პორფირიოსის თანახმად); 10. ბუჯარი საგარეჯოს წმინდის ნინოს ეკლესიისა „ქმნილი ღვთისმეტყველებით, რომელი მიუბოძა მეფემან ირაკლი მეორემან“... კურციოს წიგნის („ისტორია ალექსანდრე დიდისა“) სხოლიონი.

**ბ) მეორე ჯგუფი.**

12. მზამეტყველება (წინააღმდეგ ნესტორიანთა და ერთ ბუნებიანთა); 13. წყობილ-სიტყვაობა; 14. მარტირიკა ჩვენთა წ—თა მოწამეთათვის; 15. კატეხისი; 16. განმარტება მე-50-ე ფსალმუნისა; 17. აპოლოგია; 18. კვირილე ალექსანდრიელის „საუნჯის“ სხოლიონნი; 19. კანონი — რიცხვნი მსაჯულთა მიმართ დიკასტერიისათა; 20. თვით ეს ღვთისმეტყველება (ოთხ ტომად); 21. კანონნი ქართველთა წმიდათანი და საღმრთოისა კვართისა და ღვთის-მშობლისანი და დასდებელნი მათნი; 22. პროლოღი (სტიხოლოღად), თვე—(ე. ი. სამის თვისა); 23. ოცდა-ათნი კიბენი ნეტარისა იოანე სინელისანი (დალექსულნი და ბოლოში აკროსტიხ-დართულნი).

„დიდება შენდა ყოველი, პატივი, თაყვანის-ცემა, და მადლობა, სულო ყოვლად წმიდაო ღმრთო, ამინ“.

ს. გორგაძე.

---

*) გადამწერს აქ გამორჩენია ნული 0 და მარტო სამი ციფრი-ღა დაუწერია: 178.

**) აქ ლაპარაკია 1780 ,17 ოქტომბერზე როცა ანტონი I-ელი სამოცის წლისა შესრულებულა: მაშასადამე იგი დაბადებულა 1720 წლის 17 ოქტომბერს, და ეს თარიღი სავსებით უდგება თარიღს რომელსაც ნეტარხსენებული პატრიარქ-ფილოსოფოსი იძლევა თავისი წლოვანების შესახებ თავისი თხზულების „წყობილსიტყვაობის“ ბოლოში (§§703 და 704, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა, თფილისი 1892 წ., გვ. 604—605). აქ იგი ამბობს: ეს წიგნი მზამეტყველება დავასრულე „თთვესა მარტსა 11, წელსა 1752 წელსა“ (§ 704) და „ჟამსა, ოდეს სრულ იქმნა წიგნი ესე, მე ანტონი სრულიად საქართველოისა მამამთავარი წლის ვიდრემე 31 და თთვისა 4“ (§ 704). ეს თარიღიც მოწმობს რომ 1752 წლის 11 მარტს იგი ყოფილა 31 წლისა 3 თვისა და 22 დღისა. ანუ, როგორც თვითონ ბრძანებს, „წლისა 3 ვიდრემე 31 და თთვისა 4“. ცოტადონეს გაუგებრობას ჰქმნის ზემოთ დასახელებული თარიღი, რომელიც ზედმოსდევს § 119-ს: „სრულებით სრულ იქმნა მარტსა 12. წელსა 1780“, მაგრამ ეს გაუგებრობა ადვილად გაიფანტება თუ ვიფიქრებთ რომ ეს თარიღი ანტონ კათალიკოზს უნდა ჰქონდეს დაწერილი (შავს დედანში) ორი უკანასკნელი (საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო) პარაგრაფების წინ მათ დაწერამდე, ე. ი. თვით ღვთისმეტყველების უკანასკნელი §-ის (189) ბოლოს. შემდეგ მას საჭიროდ უცვნია ამ ორი დამატებითი საბიოგრაფიო-საბიბლიოგრაფიო პარაგრაფის (§§ 190 და 191) შეტანა, გადამწერს ეს აუსრულებია მაგრამ შავი დედნის თარიღი მისი პირვანდელი ადგილიდან დაუძრავს და ამ დამატებითი პარაგრაფების შემდეგ მოუთავსებია.

ამის შემდეგ შეუდგენიათ „პინაქსები“ (ანუ სარჩევნი), გადამწერს ესენიც გადაუწერია და ბოლოში ჩაურთავს მეორე თარიღი, სადაც იგი ამბობს მთელი მეოთხე ტომის გადაწერა 178(0) წლის 26 ნოემბერს დავასრულეო.

---

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტუდენტების ორგანიზაციის და ხელოვანთა კომიტეტის საყურადღებოდ.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მიაქცევს თქვენს ყურადღებას შემდეგ გარემოებას: ხუთშაბათს ოქტომბრის 26-ს ხელოვანთა სასახლის სალექციო დარბაზში მოხსენების დროს შემოიჭრა ექვსიოდე მთვრალი სტუდენტი და ველური ყვირილით და ჟესტიკულაციით დაარღვია წესრიგი. აუდიტორია, რომელიც შედგებოდა უმეტესად სტუდენტებისა და ახალგაზრდობისაგან, საშინლად აღელვა ასეთმა აღმაშფოთებელმა საქციელმა, მაგრამ ვერავითარის გზით ამ მთვრალი კამპანიის დაშოშმინება ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ ზოგიერთმა აღშფოთებულმა მსმენელმა ფიზიკურ საშუალებას მიმართა წესრიგის აღსადგენად. თავმჯდომარემ სხდომა დახურა. ხულიგანები მაინც არ იშლიდნენ ყვირილსა და გინებას. მწერალთა კავშირის საბჭოს წევრებმა დასტოვეს დარბაზი. მსმენელები იძულებულნი გახდნენ მილიცია ეხმოთ.

მიგვაჩნია რა ტფილისის უნივერსიტეტი ქართული კულტურის უმაღლეს ინსტანციად, დარწმუნებული ვართ ამ უღირსი „სტუდენტების“ წინააღმდეგ როგორც უნივერსიტეტი, ისე სტუდენტთა კავშირი მიმართავს დისციპლინარულ ზომებს და არ მისცემს ამ ველურ ბანდის საშუალებას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართველ ახალგაზრდობის პრესტიჟი შებღალოს.

სრ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მოითხოვს ხელოვანთა კომიტეტისაგან, რომელსაც აბარია სასახლე, მოახდინოს რეორგანიზაცია სასახლის მეთვალყურეობისა, ჩააყენოს ნამდვილი კომენდანტი, რომელსაც ეცოდინება თავისი მოვალეობა, რათა ზემოდ აღნიშნულ უწესრიგობას ამიერიდან ადგილი არ ჰქონდეს.

**სრ. საქ მწერ. კავშ. პრეზიდიუმი.**

## პრესის საყურადღებოდ.

სრ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს ზოგიერთ გაზეთის საყურადღებოდ, რომელნიც ამ კავშირს „ძველ მწერალთა კავშირს“ უწოდებენ. ასეთი სახელწოდება არა აქვს ჩვენ მწერალთა კავშირს და არც შეეფერება მას სრულიად.

ამიერიდან საქართველოს მწერალთა კავშირი ასეთ საქციელს მეპრესეებისა და რეპორტიორების მხრით მიიღებს შეურაცყოფად და სათანადო პასუხსაც მოსთხოვს მათ.

**სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.**

## ქრონიკა

**რედაქციისაგან:**

**პროფ. აკაკი შანიძის წერილი „ალ. ცაგარელი“ ტეხნიკური მიზეზის გამო ამ №-ში სამწუხაროდ ვერ მოთავსდა. იგი დაიბეჭდება შემდეგ №-ში.**

**ახალი თეატრი**

რუსული დრამის სახელმწიფო პატარა თეატრის კაპიტალური შეკეთება თითქმის დამთავრდა.

**ბათომის თეატრი**

ბათომის დრამის დასში მიმდინარე სეზონში მოწვეულნი არიან მსახიობები: ან. ქიქოძე, ვალერიან გუნია, კ. ანდრონიკაშვილი და ი. ზარდალიშვილი. პირველი წარმოდგენა გაიმართება ნოემბრის 11. წარმოდგენილ იქნება „სამეგრელის მთავარი ლევან“. განზრახულია თვეში რვა წარმოდგენა-წარმოდგენები რეგულიარულად გაიმართება ხუთშაბათობით და კვირაობით.

**ქუთაისის თეატრის ბედი.**

ბათომის აკადემიურ თეატრის მმართველი ვ. ურუშაძე აწარმოებს მოლაპარაკებას ქუთაისის თეატრის გამგესთან რათა ზამთრის სეზონის განმავლობაში დაეთმოს ბათომის თეატრს გარდერობი და ბიბლიოთეკა. თვით ქუთაისში კი სეზონი არ იქნება.

**ხელოვნების სასახლეში**

ხუთშაბათს ოქტომბრის [illegible] სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ გამართა „ლიტერატურული ხუთშაბათები“.

**მორიგი 22 ლიტერატურული ხუთშაბათი:**

შალვა დადიანი: „გახსენება ნიკო დადიანის“

**დიმიტრი ყიფიანის მოსაგონარი ლიტერატურული საღამო.** მე 23 მორიგ ლიტერატურულ ხუთშაბათს სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გამართავს დიმიტრი ყიფიანის მოსაგონარ ლიტერატურულ საღამოს პროგრამა გამოცხადდება თავის დროს.

**სამხატვრო აკადემიაში**

სამხატვრო აკადემიაში ზამთრის სემესტრი დაიწყება ნოემბრის 13.

**ქართველ მხატვართა კონფერენცია**

კვირას ოქტომბრის 22 დილების ტაძარში გაიხსნა ქართველ მხატვართა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობა მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება კომისიების სახით. დღეს დიდების სასახლეში მოხდება პლენარული სხდომა კომისიების. კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულია დავით [illegible]რამიშვილი, მდივნათ ირაკლი ტოიძე.

**პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.**

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და პროლეტკულტის საორგანიზაციო ბიურო განზრახვა აქეთ გამოსცეს ოქტომბრისათვის პროლეტარულ მწერალთა კრებული.

**ლეო ქიაჩელი მისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო თავს ანებებს „ლომისის“ რედაქტორობას. იგი აუწყებს თანამშრომელთ, რომ ყველა მასალა რაც მის ხელთ იყო დღეიდგან გადაეცემა კოლეგიას.**

**სარედაქციო კოლეგია**

მე-6 სტამბა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფილებისა.

„რიგოლეტო“ ისეთ დროს არის დაწერილი როდესაც ორკესტრს, ხოროს ე. ი. მუსიკის მასსობრივ მხარეს დიდი ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული და ვერდიც ქედს იხრიდა ღრადიციის წინაშე. აკი შემდეგში მან ძირითადად შესცვალა ერთიც და მეორეც თუმცა ამასთანავე დარჩა იმავე უებრო მელოდისტად.

მაგრამ ის ცოტაც კი, რაც საამისო „რიგოლეტოშია“,—ისიც შესანიშნავია. მაგალითად ოპერის შესავალი თვალნათლივად გიჩვენებთ, რომ თქვენ უეჭველად კატასტროფის მოწმე შეიქნებით. —ასეთივეა მონტერონეს თვითეული ფრაზა, რიგოლეტოს და სპარაფუჩინელის დიალოგი, მეოთხე მოქმედების დიდებული კვარტეტი და ტრიო.

რიგოლეტოს როლში გამოვიდა ტფილისისათვის სრულიად ახალი მომღერალი ბერიტონი **გორელოვი**. მომღერალმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. აქვს მადლიანი ხმა, დაბალსა და შუა ფარდებში საკმაოდ მკვეთრი და მეტყველი, მაღალ ფარდებში, ცოტა არ იყოს, შეზღუდული, თუმცა უწყებულ დონემდე აღწევს. დიქცია მკაფიო, ფრაზირობა მნიშვნელოვანი. სცენაზე თავი დარბაისლურად უჭირავს. ამ დარბაისლობით აიხსნება, თითქოს მას მგზნებარეობა აკლდეს. საზოგადოებამ იგი კმაყოფილებით მიიღო.

ჯილდას როლში ქ-ნი **პაპოვა** უფრო მეტად მოგვეწონა, ვიდრე დოზინას როლში. მის სიმღერაში მეტი ხმოვანობა ისმოდა და საკინძანძურო ადგილები ხომ ჩინებულად შესრულა. ამ მხრივ აღსანიშნავია მეორე მოქმედების არია.

ტენორი **ლევიცკი** ჰერცოგის როლში ყოველის მხრით სუსტი იყო, უცნაური ხმა აქვს ამ მომღერალს,—მეტის მეტად მძაფრი გამყივანი; თვითეულ ძგერას საშინელი ტრემოლო ერთვის, თითქოს სიმღერის დროს არტისტი ძაგძაგებდეს და ხმა განუწყვეტლივ ქანაობდეს. სრულიად არ ეხერხება ხმის მიბნედილობა, რისგამოც სიმღერა ერთსულოვანი გამოდის, არც ფრაზა, არც გამოთქმა; ასამაღლებელი კი ეხერხება.

ბანდიტს პარაფუჩილეს როლში **ისეცკი**—მშვენიერია.

უნდა აღვნიშნოთ შეუსაბამო ტრადიცია, რომ მონტერონეს როლს მეორე ხარისხოვან მომღერალს აძლევენ ხოლმე. პარტია, მართალია, პატარაა, მაგრამ თვითეული ფრაზა ამ უბედური ადამიანისა მოითხოვს მომღერლისაგან უაღრესად ძლიერ ხმას, მეტყველ გამოთქმას და ტემპერამენტის მგზნებარეობას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, აკლდა მის აღმსრულებელს გობრახოვს. ლოტბარი **ბრონ** ამჯერადაც ვერ იდგა სასურველ დონეზე.—მეტის-მეტად აჭიანურებდა ტემპებს, რაც მომღერალთ თვალსაჩინოდ ხელს უშლიდა.

## აიდა.

იმ უბრალო გარემოებამ, რომ 1869 წ. ქაიროში (ეგვიპტე) თეატრის შენება იქნა დამთავრებული და მისი გახსნა ახალი ოპერით უნდოდათ,—წარმოშვა ხელოვნებისათვის მეტად უდიდესი ფაქტი—ოპერა „აიდა“.

ეგვიპტეს ქედივის დავალებით, მაშინ უკვე სახელგანთქმულ კომპოზიტორ ვერდის შეუკვეთეს ოპერა, რომლის შინაარსი ეგვიპტის წარსულიდან უნდა ყოფილიყო. დრამის სიუჟეტი ამ ოპერისათვის თითქმის იქიდანვე მიაწოდეს ავტორს. ლიბრეტო შედგენილ იქნა ამ სიუჟეტის მიხედვით და დიდებულმა კომპოზიტორმა ეს, რიცხვით ოცდა-მეტული, ოპერა ხელ მოკლე ხანში დასწერა, რისთვისაც 40.000 მან. მიიღო.

როგორც ქაიროში, ისევე ყველგან, სადაც კი იგი დადგმულ იქნა,—ოპერამ ავტორისადმი ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომლის მსგავსი მაგალითი არავის ახსოვს.

მართლაც და „აიდა“ დიდებული ნაწარმოებია. იგი ნამდვილი მუსიკალური დრამაა. სადაც მომენტის დრამატიზაცია მუსიკის საშუალებით უუმწვერვალეს ხარისხამდე აღწევს, სადაც აზრი და ბევრი საკვირველის თანხმობით გადაიშლება მსმენელისათვის ტანჯვად თუ სიხარულად, სავმიროდ საქმედ, თუ სიყვარულის ნარნარებად, ცალკე პიროვნების ვულისთქმად, თუ ადამიანთა მასის გრძნობათა ქარტეხილად.

ცნობილი უებრო მელოდისტობა სრულიადაც ხელს არ უშლის ვერდის ღრმა ტრაგიკულ პათოსის შექმნისათვის, პირიქით, ეს მისი ნიშანდობლივი თვისება იშვიათის ხმაშეწყობილობით აფერადებს უდიდეს სულიერ ალქვრათა გამოთქმას, ცალკე ადამიანი იქნება ამის ობიექტი, თუ მასსა.

ისმენ ამ თილისმა მუსიკას და ჰგონია, რომ შენს თვალწინ აღმართული ბუმბერაზი შენობები, ცათამდე აზიდული სვეტებით, გაურკვეველი იდუმალების გამომხატველ სფინქსებით, კუთხედიანი მოხაზულობის ფიგურებით,—ყოველივე ეს საუკუნეთა წიაღში შთანთქმული კულტურა მძლეთამძლე ხალხისა, იღვიძებს, ცოცხლდება და მოქმედობს შენ თვალწინ—ვერდის მუსიკის უდიდესი ნაწილი ეკლექტიურია: მხოლოდ ზოგ ადგილას აღმოსავლეთის ჰანგებით მოსევადებული,—შენ დაუნებურად უნდა სთქვა, რომ მხოლოდ ეს ციკლოპიური აღნაგი შენობები და სვეტები თუ დაიტევს და და იგრძნობენ იმ ძლიერ ტრაგედიას ზე-ადამიანთა სულისას, რომელსაც ჰსახავს ვერდის შემოქმედება.

ვერდიმ შექმნა სრულიად ახალი, მუსიკის უჩვეულო ფორმები და სახეები. მან აამეტყველა ორკესტრი და ხორო ისეთის ძლიერებით, რომ მისი თანაბარი ადგილები უნდა ეძიოთ მხოლოდ დიდებულ მეუსიკეთა ნაწარმოებებში, ისიც იშვიათად თუ შეხვდამათ. ამასთანავე ყოველივე ეს გამოკვეთილ ფორმებშია ჩამოქნილი და თანა სდევს ის გამჭვირვალება და მზიანობა, რაც ვერდის ნიშანდობლივ ღირსებას შეადგენს.

ავიღოთ, თუ გინდათ, ოპერის შესავალი, რომელიც შედარებით პატარაა (ვერდის არ უყვარდა დიდი უვერტიურების წერა). რამდენი წუხილი და ღრმა კაეშანი ისმის თვითეულ საკრავში და ვილონჩელი და სხვა სიმიანი საკრავები ნათლად გამოხატავენ ტანჯული ადამიანის გმინვასა და კვნესას. ორკესტრი სტირის და შფოთავს იმის შესახებ, რაც უნდა მოხდეს.

გავიხსენოთ პირველი სურათის ენერგიით სავსე შეძახილი რადამესის მიმართ—„დაბრუნდი გამარჯვებული“ და თვალ წინ წარმოგიდგება ზღვევის გრძნობით აღძრული ერი, ზღვასავით ბობოქარი და მასთან დაპირისპირებული ლირიკულ—დრამატიული ჰანგი მწუხარე აიდასი.

ან კიდევ სცენა დავონის ტაძარში, სადაც რამესი მიიღებს ღმერთების მიერ დამწყალობებულ მახვილს. ეს სცენა საუკეთესო სცენაა, ჩვენის აზრით, მთელს ოპერაში. საკვირველის ხმისწყობულებით არის გადმოცემული ერთისა და იმავე დროს ლოცვის ექსტაზი ტაძარში მყოფთა, ადგილ-ადგილ მინელებული, ადგილ-ადგილ კი ზეაზიდული,—და სარწმუნოებრივი რიტუალი ბალეტის სახით.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი სურათი (მესამე) ამნერისის და აიდას დიალოგი, პირველის მედიდურობისა და მძულვარების მჩენი ხოლო მეორის სასომიხდილობის გამომხატველი.

მეოთხე სურათის სამხედრო მარში მთელი ანსამბლი შედევრია გამარჯვებული ხალხის უზომო აღტყინებისა და ტიტანობის გამოსახვისა ერთის მხრით და დამარცხებულთა ვაებისა—მეორეს მხრით.

მეხუთე სურათი—ნილოსის ნაპირად. საკვირველის ლირიზმით არის გამსჭვალული და აღმოსავლეთურ ეგზოტიზმით გაჟღენთილი. ამ სურათის მუსიკა საოცნებოა, უაღრესად პოეტური, ერთსა და იმავე დროს დიდი წუხილის აღმძვრელი და სმენის დამატკბობელი, გეგონებათ თქვენს წინაშე ბურუსიანი ნათელი კრთოდეს და სივრცეს რაღაც უხილავი გაფუებისაგან თხლად ნაქსოვი ქსოვილი ჰქონდეს გადაფარებული, მთლად გამჭვირვალე. აქვეა შესანიშნავი დრამატიზმით სავსე ფრაზები ამონასროსი და რადამესისა.

იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნულ სურათში მუსიკის ცხოველმყოფელობა ზენიტამდე აღწევს და გგონია, რომ უკვე დადგა საზღვარი, რის იქითაც დაღმართი უნდა დაიწყოს, მაინც რადამესის გასამართლების სურათი უძლიერეს შთაბეჭდილებას სტოვებს, ისეთი ტრაგიკული პათოსით არის აღსავსე. აქ ორკესტრი იძლევა საკვირველ ეფექტებს, თითქოს ხმა ქვესკნელიდან ყრუდ მოისმის.

უკანასკნელი სურათი კაეშნური ლირიზმით არის გამსჭვალული და მეტად მელოდიური დუეტით თავდება, რომელსაც რელიგიური ჰანგი დაერთვის ხოროსი.

დრამის შინაარსი არ მოგვყავს, რადგანაც სიტყვა გაგვიგრძელდა და ამას გარდა, იშვიათია ასეთი თეატრში მოსიარულე, რომელსაც „აიდა“ არ ენახოს.

ახლა გადავიდეთ თვით წარმოდგენაზე (ოქტომბ. 21)

მშვენიერი წარმოდგენა იყო. ლოტბარი ივ. ფალიაშვილი, რეჟისსორი ბოგოლიუბოვი და თვითეული მომღერალი ხმაშეწყობილად ამუშავებულან, რომ შექმნათ ძლიერი შთაბეჭდილება.

**ივ. ფალიაშვილმა**, რომ იტყვიან, თავის თავს გადააჭარბა. მრავალჯერ მოვისმენია „აიდა“ აქაც და სხვაგანაც და გადამეტებად ნურავინ ჩამოგვართმევს, თუ ვიტყვით, რომ არასდროს ორკესტრს არ მოუცია ის ნიუანსები, ის მთლიანობა, საკრავთა ხმიანობის მინიმუმი და მაქსიმუმი, რაც სამშაბათის წარმოდგენაზე მოვისმინეთ. ლოტბარის გრძნეულმა მარჯვენამ უკანასკნელ ზღვრამდე ამოსწურა თვითეული საკრავის შესაძლებლობა, სადაც საჭირო იყო, და შექმნა ხმათა მთლიანი ნაკადი, რომელიც მრავალფერად იშლებოდა სივრცეში.—ორკესტრი ზოგჯერ შფოთავდა, ჰგმინავდა ზღვასავით, ზოგჯერ ნელად იწვოდა გრძნობის ცეცხლით.—ლოტბარის თვითეულ მხატვრული მიღწევა რომ აღვნიშნოთ, მაშინ იძულებული გავხდებით ჩამოვწეროთ მთელი ოპერის საორკესტრო ადგილები, რადგანაც არ გვახსოვს მომენტი შეუსაბამო ან სუსტი მომენტი ორკესტრის ნამოქმედარისა. — გამოვყოფთ მხოლოდ ოპერის შესავალს, რათა ვთქვათ, რომ ამ შესავლის ასეთი სიწმინდე და მეტყველება არასდროს არ მოგვისმენია, თვით ფალიაშვილისაგანაც წინათ. მაშასადამე თვალნათლივი ხდება, თუ რა შეუწყვეტლად ვითარდება და იზრდება ამ [illegible] დიდი ნიჭი.—

ბოგოლიუბოვმა მოგვცა შესანიშნავი სასცენო „დადგმა“ ოპერისა, რომლის მსგავსი ჯერ ტფილისს არ უხილავს. დეკორაციები სტოვებს ბუმბერაზულ შთაბეჭდილებას. არქიტექტურის ეპოქასთან შესაბამობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ დეკორაციებს, — უნდა ვსთქვათ, რომ აქ მთლიანობა არ იყო დაცული. რაკი შირმების და ფარდების შერევაა მიღებული, რაღა თქმა უნდა სტილის მთლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ბოგოლიუბოვმა შესძლო ყოველი სურათისათვის რაიმე ერთი ფიგურით, სვეტით თუ მოხაზულობით—ეგვიპტურ საარქიტექტურო კულტურის ასახვა და ამ მთავარ მოტივს აადევნა სხვა შესაბამი ნაწილები:—შირმა, ფარდა და სხ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოდერნისტულ და რეალისტურ ელემენტის შეთავსებასთან. იქნებ ბოგოლიუბოვი კიდეც სცდებოდეს ამ პრინციპის განხორციელებაში, მაგრამ მან გაიმარჯვა, მოგვცა სასურველი შთაბეჭდილება და ამის გამო დავას ვერ ავუტეხავთ. მაგრამ აი რაში არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ნიჭიერ რეჟისორს: ზედმეტია მეორე სურათში (ტაძარი) ბალეტის გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება და წრესგადასული ეკვირქაცია. აგრეთვე მეოთხე სურათში სამხედრო მარშისათვის ბალეტურ პანტომიმის ადევნება ჩვენ მიგვაჩნია შეცდომად და საერთოდ-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოგოლიუბოვი თითქმის ყოველთვის ბალეტს მეტის-მეტად გაზვიადებულ როლს უთმობს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს იგი მოსაწყენი ხდება. მაგრამ უდიდესი შეცდომა ბოგოლიუბოვისა, ჩვენის აზრით, სასამართლოს სურათის გამოტანაა მაყურებელთა წინაშე. ამ დადებულმა სცენამ (მუსიკის მხრით) სრულიად დაჰკარგა თავისი ზარდამცემი სახე. უბადრუკნი იყვნენ ქურუმნი—მსაჯულნი თავიანთი ერთომ და სტილისტური კუთხედიანი ხელის კეცვით და წევით. ასევე იყო რადამესის უმეტყველო ფიგურა და პაპირუსზე იეროგლიფების დამწერი. მსმენელის ფანტაზია გაცილებით უფრო ძლიერ სურათს წარმოიდგენდა მარტო ვერდის ჯადოსნური მუსიკის მოსმენით, ვიდრე იმ სანახაობით, რაც მის თვალთ წინ იყო.

„აიდა“-ში მონაწილეობას იღებდა ტფილისისათვის ორი სრულიად უცნობი მომღერალი: ქ-ნი **ბარრილეტი-მეტლიშ** (აიდა) და ბ-ნი **აგრინოვსკი** (რადამესი).

**ქ-ნ ბარილეტიშ** ძალიან კარგი ხმა აქვს, ღრამატიული სოპრანოს ტემბრი ძალიან ეხერხება ხმა-მიწოდული სიმღერა. აქვს მეტყველი ფრაზა (მუსიკალური) ხოლო არამკაფიო დიქცია. არტისტ დიდი მღელვარება ეტყობოდა, როგორც ზოგიერთ ადგილას დეტონაციას ვერ ასცდა, მაგალითად პირველ სურათის ფინალში. ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა—მეხუთე სურათში (ნილოსის ნაპირად), დიდი ლირიზმი გამოიჩინა და გრძნობის მეტყველება.—ეტყობა სასცენო გამოცდილება.

ბ-ნი **აგრინოვსკი**, მუსიკალობით სავსე მომღერალია, მშვენიერი, მეტად სასიამოვნო ტემბრის ხმის პატრონი, განსაკუთრებით დაბალსა და საშუალო ფარდებში. საუცხოო დიქცია და ფრაზა აქვს. როგორც გავიგეთ, მომღერალი შეუძლოდ იყო, მაგრამ ამისდამიუხედავად მეხუთე და მეექვსე სურათში ძლიერი ხმოვანება მისცა ხმას და მსმენელთა თანაგრძნობა გამოიწვია.—სცენაზე თავი სათანადოთ ეჭირა, თუმცა კარგ საოპერო ტრაფარეტს არ გასცილებია.

ამონასროს და ქურუმის პარტიებს მღეროდნენ ბ-ნნი **ინაშვილი** და **ისეცკი**. რაღა თქმა უნდა, ორივენი კარგები იყვნენ. ინაშვილის ხმა ამ რიგობაზე სრულ ხმოვანებას იძლეოდა. ვურჩევთ შეასუსტოს გადამეტებული ეგზეალცია, ძალიან ხელს უშლის მის მეტყველ დიქციას და ფრაზას. ისეცკი მეტად სტილისებურ სახეს იძლევა,—გვგონებათ ნამდვილი მუმია იყოს, საუკუნოების წიაღიდან გამომხირალი.

ძალიან მოგვეწონა ბ-ნი **ბლაგოოხრაზოვი** ფარაონის როლში, ხოლო მეტისმეტად გაგვაკვირვა ნიჭიერმა ქ-მა **ბარონკინამ**, რომელმაც ამ რიგობაზე არც სასცენო სახე ამნერისისა და არც ხმის მეტყველება არ გამოიჩინა. ალბად იყო რაიმე მისგან დამოუკიდებელი მიზეზი.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო—დარბაზში აღტაცების ხმა გაისმოდა ნანახისა და მოსმენის გამო.

ინენ.

## ბიბლიოგრაფია.

### ქ. შ. წ. გ. საზოგადოების ხელნაწერი.

**ანტონ I კათალიკოსის „ღმრთის მეტყველება“.**

№№ 3657; 3658; 3659; 3660.

დასასრული

**ტომი მეოთხე**

(№ 3660)

### „უთნოებითი ღმრთისმეტყველება.“

აი სრული სათაური: „ანტონის მიერ დავითიან ბაგრატოვანისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა, აღმოღებული ჰაზრი აგან რონსიისა ღვთის-მეტყველთასა. თავის უთნოებითისა ღვთის-მეტყველებისა. სამნაწილოანი. ღვთის-მეტყველებისა ყოფაქცევითისა ტომი მეოთხე. ღვთისმეტყველებისაებრ სილასტიკაისა“.

ტომს წინ უძღვის წინასიტყვაობა ერთ თავად და 7 პარაგრაფად.

თვით „უთნოებითი ღვთისმეტყველება“ განიყოფა სამ ნაწილად: 1. „თვის გძობისა სულისა წმინდისა“, 2. „უთნოებათაგან განმართლებისათვის შეცოდებულისა კაცისა იესო ქრისტეს მიერ“ და 3. „თვის ცოდვათა სასიკვდინეთა და მისატევებელთა“.

ტექსტის ბოლოში გადამწერისავე ხელითა და იმავე მელნით სწერია: „სრულებით სრულ იქმნა მარტს 12. წელსა 1780“.

ტომს დართული აქვს თავთა სარჩევი და ვრცელი ანბანური საძიებელი. საძიებლის ბოლოს ტექსტისავე ხელით და იმავე მელნით:

„დასასრული პინაქს-სიტყვაობისა მეოთხის ტომისა. აღწერილი ყოვლად უუნდოესისა ტრიფილესაგან მღვდელ-მონაზონისა. სრულებით სრულ-იქმნა ნოემბრის. 26. წელსა, 178(0).*) ვიწყე სეკდემბერს. 20. 1779“.

ამ მეოთხე ტომის ორი უკანასკნელი პარაგრაფი (§§ 190 და 191) ანტონის შესახებ საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ცნობებს შეიცავს. სახელდობრ, როცა ეს ტომი დაუთავებია, ანტონი სამოცი წლისა ყოფილა: „სამოცდა პირველსა შ ა წელიწადთა სიმრავლესა შემოველ აწ მდგომარესა ამას შ.ა წელიწადსა, თთვესა ორდომბერსა, რიცხვსა 17“.**) და შემდეგ ჩამოთვლის თავის 23 ნაშრომს, რომელთაც ორ ჯგუფად გაჰყოფს: ა) საერო-საფილოსოფოსანი და ბ) საქრისტიანო მოძღვრებითანი. აი ეს სია:

**ა) პირველი ჯგუფი:**

1. ღრამმატიკა (ვრცელი); 2. ღრამმატიკავე (ყრმათათვის); 3. რიტორიკის თარგმანის მაგალითები და ახსნანი; 4. ბაუმეისტრის ფილოსოფიის წინასიტყვაობაობა; 5—6—7. იმავე ფილოსოფიის სამი ნაწილის სხოლიონი; 8. ვოლფის ფიზიკის სხოლიონი; 9. კატიღორია (არისტოტელისა და პორფირიოსის თანახმად); 10. ბუჯარი საგარეჯოს წმინდის ნინოს ეკლესიისა „ქმნილი ღვთისმეტყველებით, რომელი მიუძღვა მეფემან ირაკლი მეორემან“... კურციოს წიგნის („ისტორია ალექსანდრე დიდისა“) სხოლიონი.

**ბ) მეორე ჯგუფი.**

12. მზამეტყველება (წინააღმდეგ ნესტორიანთა და ერთ ბუნებიანთა); 13. წყობილ-სიტყვაობა; 14. მარტირიკა ჩვენთა წ—თა მოწამეთათვის; 15. კატეხისი; 16. განმარტება მე-50-ე ფსალმუნისა; 17. აპოლოგია; 18. კვირილე ალექსანდრიელის „საუნჯის“ სხოლიონნი; 19. კანონი — რიცხვნი მსაჯულთა მიმართ დიკასტერიისათა; 20. თვით ეს ღვთისმეტყველება (ოთხ ტომად); 21. კანონნი ქართველთა წმიდათანი და სალმრთოისა კვართისა და ღვთის-მშობლისანი და დასდებელნი მათნი; 22. პროლოღი (სტიხოლოღად), თვე—(ე. ი. სამის თვისა); 23. ოცდა-ათნი კრებანი ნეტარისა ი ნე სინელისანი (დალექსული და ბოლოში აკროსტიხ-დართული).

„დიდება შენდა ყოველი, პატივი, თაყვანის-ცემა, და მადლობა, სულო ყოვლად წმიდაო ღმერთო, ამინ“.

ს. გორგაძე.

---

*) გადამწერს აქ გამორჩენია ნული 0 და მარტო სამი ციფრი-ღა დაუწერია: 178.

**) აქ ლაპარაკია 1780 .17 ოქტომბერზე როცა ანტონი I-ელი სამოცის წლისა შესრულებულა: მაშასადამე იგი დაბადებულა 1720 წლის 17 ოქტომბერს. და ეს თარიღი სავსებით უდგება თარიღს რომელსაც ნე ჰარსხენებული პატრიარქ ფილოსოფოსი იძლევა თავისი წელთაღრიცხვის შესახებ თავისი თხზულების „წყობილსიტყვაობის“ ბოლოში (§§ 703 და 704. ალექსანდრე ცაგარელის გამოცემა. ტფილისი 1892 წ. გვ. 604—605). აქ იგი ამბობს: ეს წიგნი მზამეტყველება დავასრულე „თთვესა მარტსა 11, წელსა 1752 წელსა“ (§ 703) და „ვიყავ, ოდეს სრულ იქმნა წიგნი ესე, მე ანტონი სრულიად საქართველოისა მამამთავარი წლის ვიდრემე 31 და თთვისა 4“ (§ 704). ეს თარიღიც მოწმობს რომ 1752 წლის 11 მარტს იგი ყოფილა 31 წლისა 3 თვისა და 22 დღისა ანუ, როგორც თვითონ ბრძანებს, „წლისა 3 ვიდრემე 31 და თთვისა 4“. ცოტადიოდენს გაუგებრობას ჰქმნის ზემოთ დასახელებული თარიღი, რომელიც ხელმოსდევს § 119-ს: „სრულებით სრულ იქმნა მარტსა 12. წელსა 1780“. მაგრამ ეს გაუგებრობა ადვილად გაიფანტება თუ ვიფიქრებთ რომ ეს თარიღი ანტონ კათალიკოსს უნდა ჰქონდეს დაწერილი (შავს დედანში) ორი უკანასკნელი (საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო) პარაგრაფების წინ მათ დაწერამდე, ე. ი. თვით ღვთისმეტყველების უკანასკნელი §-ის (189) ბოლოს. შემდეგ მას საჭიროდ უცვნია ამ ორი დამატებითი საბიოგრაფიო-საბიბლიოგრაფიო პარაგრაფის (§§ 190 და 191) შეტანა; გადამწერს ეს აუსრულებია მაგრამ შავი დედნის თარიღი მისი პირვანდელი ადგილიდან დაუძრავს და ამ დამატებითი პარაგრაფების შემდეგ მოუთავსებია. ამის შემდეგ შეუდგენიათ „პინაქსები“ (ანუ სარჩევნი), გადამწერს ესენიც გადაუწერია და ბოლოში ჩაურთავს მეორე თარიღი, სადაც იგი ამბობს მთელი მეოთხე ტომის გადაწერა 178(0) წლის 26 ნოემბერს დავასრულეო.

---

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტუდენტების ორგანიზაციის და ხელოვანთა კომიტეტის საყურადღებოდ.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მიაქცევს თქვენს ყურადღებას შემდეგ გარემოებას: ხუთშაბათს ოქტომბრის 26-ს ხელოვანთა სასახლის სალექციო დარბაზში მოხსენების დროს შემოიჭრა ექსიოდე მთვრალი სტუდენტი და ველური ყვირილით და ქუსლიკულაციით დაარღვია წესრიგი. აუდიტორია, რომელიც შედგებოდა უმეტესად სტუდენტებისა და ახალგაზრდობისაგან, საშინლად აალელვა ასეთმა აღმაშფოთებელმა საქციელმა, მაგრამ ვერავითარის გზით ამ მთვრალი კამპანიის დაშოშინება ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ ზოგიერთმა აღშფოთებულმა მსმენელმა ფიზიკურ საშუალებას მიმართა წესრიგის აღსადგენად. თავმჯდომარემ სალამო დახურა. ხულიგანები მაინც არ იშლიდნენ ყვირილსა და გინებას. მწერალთა კავშირის საბჭოს წევრებმა დასტოვეს დარბაზი. მსმენელები იძულებულნი გახდნენ მილიცია ეხმოთ.

მიაჩნია რა ტფილისის უნივერსიტეტი ქართული კულტურის უმაღლეს [illegible], დარწმუნებული ვართ ამ უღირსი „სტუდენტების“ წინააღმდეგ როგორც უნივერსიტეტი, ისე სტუდენტთა კავშირი მიმართავს დისციპლინარულ ზომებს და არ მისცემს ამ ველურ ბანდას საშუალებას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართველ ახალგაზრდობის პრესტიჟი შებღალოს.

სრ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მოითხოვს ხელოვანთა კომიტეტისაგან, რომელსაც აბარია სასახლე, მოახდინოს რეორგანიზაცია სასახლის მეთვალყურეობისა, ჩააყენოს ნამდვილი კომენდანტი, რომელსაც ეკუთვნება თავისი მოვალეობა, რათა ზემოდ აღნიშნულ უწესრიგობას ამიერიდან ადგილი არ ექნეს.

**სრ. საქ. მწერ. კავშ. პრეზიდიუმი.**

---

## პრესის საყურადღებოდ.

სრ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს ზოგიერთ გაზეთის საყურადღებოდ, რომელნიც ამ კავშირს „ძველ მწერალთა კავშირს“ უწოდებენ. ასეთი სახელწოდება არა აქვს ჩვენ მწერალთა კავშირს და არც შეეფერება მას სრულიად.

ამიერიდან საქართველოს მწერალთა კავშირი ასეთ საქციელს მეპრესეებსა და რეპორტიორების მხრით მიიღებს შეურაცხყოფად და სათანადო პასუხსაც მოსთხოვს მათ.

**სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.**

---

# ქრონიკა

**რედაქციისაგან:**

**პროფ. აკაკი შანიძის წერილი „ალ. ცაგარელი“ ტეხნიკური მიზეზის გამო ამ №-ში სამწუხაროდ ვერ მოთავსდა. იგი დაიბეჭდება შემდეგ №-ში.**

**ახალი თეატრი**

რუსული დრამის სახელმწიფო პატარა თეატრის კაპიტალური შეკეთება თითქმის დამთავრდა.

**ბათომის თეატრი**

ბათომის დრამის დასში მიმდინარე სეზონში მოწვეულნი არიან მსახიობები: ან. ქიქოძე, ვალერიან გუნია, კ. ანდრონიკაშვილი და ი. ზარდალიშვილი. პირველი წარმოდგენა გაიმართება ნოემბრის 11. წარმოდგენილ იქნება „სამეგრელოს მთავარი ლევან“ განზრახულია თვეში რვა წარმოდგენა-წარმოდგენები რეგულიარულად გაიმართება ხუთშაბათობით და კვირაობით.

**ქუთაისის თეატრის ბედი.**

ბათომის აკადემიურ თეატრის მმართველი ვ. ურუშაძე აწარმოებს მოლაპარაკებას ქუთაისის თეატრის გამგესთან რათა ზამთრის სეზონის განმავლობაში დაეთმოს ბათომის თეატრს გარდერობი და ბიბლიოთეკა. თვით ქუთაისში კი სეზონი არ იქნება.

**ხელოვნების სასახლეში**

ხუთშაბათს ოქტომბრის [illegible] სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ განაახლა „ლიტერატურული ხუთშაბათები“.

**მორიგი 22 ლიტერატურული ხუთშაბათი:**

შალვა დადიანი: „გახსენება ნიკო დადიანის“

**დიმიტრი ყიფიანის მოსაგონარი ლიტერატურული საღამო.** მე 23 მორიგ ლიტერატურული ხუთშაბათს სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გამართავს დიმიტრი ყიფიანის მოსაგონარ ლიტერატურულ საღამოს პროგრამა გამოცხადდება თავის დროს.

**სამხატვრო აკადემიაში**

სამხატვრო აკადემიაში ზამთრის სემესტრი დაიწყება ნოემბრის 13.

**ქართველ მხატვართა კონფერენცია**

კვირას ოქტომბრის 22 დიდების ტაძარში გაიხსნა ქართველ მხატვართა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობა მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება კომისიების სახით. დღეს დიდების სასახლეში მოხდება პლენარული სხდომა კონფერენციის. კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულია [illegible] რამიშვილი, მდივნათ ირაკლი ტოიძე.

**პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.**

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას და პროლეტკულტის საორგანიზაციო ბიუროს განზრახვა აქვთ გამოსცენ ოქტომბრისათვის პროლეტარულ მწერალთა კრებული.

---

**ლეო ქიაჩელი მისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო თავს ანებებს „ლომისის“ რედაქტორობას. იგი აუწყებს თანამშრომელთ, რომ ყველა მასალა რაც მის ხელთ იყო დღეიდგან გადაეცემა კოლეგიას.**

---

**სარედაქციო კოლეგია**

მე-5 სტამბა ს. ბ. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფილებისა.